საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 10 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 206 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 206

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდაწყვეტილნი მამა ალექსანდრე, ძმა ნიკოლოზი და რძალი მარიამ თავშავაძეები, დები—ანიჩკა და ვარია და დეიდა მართა წამალაშვილისა, ვაცნობებთ ნათესავ და მეგობრებს, რომ ხვალ 11 სექტემბერს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათის ძვირფას და საყვარელი

სონა ნასარიძესი

წირვა გადახდილ იქნება წმინდა ნინოს ეკლესიაში და პანაშვიდი კი განსვენებულის საფლავზე. (2953—1—1)

ღრმად დამწუხარებულნი ქმარი ილია, შვილები: მარო, შალიკო, ვალოდია და პატარა შურიკა. ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობ—მეგობრებს, რომ ხვალ 11 სექტემბერს დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი მათთვის უძვირფასესის

სონა ნასარიძესი

წირვა გადახდილ იქნება წმინდა ნინოს ეკლესიაში და პანაშვიდი კი განსვენებულის საფლავზე. (2953—1—1)

გაუბედურებული მშობლები ნინუცა და იესე შარაშიძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი შვილის

ბექანის

უდროო გარდაცვალებას ქ. ჩოხატაურში. (2947—1—1)

ამხ. მკითხველებისა და აგენტების საყურადღებოთ!

12 სექტემბრიდან განახლდება ყოველკვირეული გაზეთის

„სოციალ დემოკრატ“-ის

გამოცემა. ვთხოვთ ამხანაგებსა და პარტიულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ თავის გაზეთს ცნობების და წერილების მოწოდებით, გაზეთის გავრცელებით და ფონდის დაარსებით. ადრე'ი: ქუთაისი „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციას.

საქ. სოც.-დემ. პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ბიურო. (უფ.—7—4)

ქ. ქუთაისში
კუთაისის და მისი გუბერნიის საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფ. კავშირის ერთ წლიან
საბუხჰალტერო კურსებზე
მეცადინეობა დაიწყება 16—ენკენისთვეს. კურსების გამგეთ მოწვეულია მირიან თეიმურაზის ძე ბახილია, ლექტორებათ ცნობილი სპეციალისტები. თხოვნების და დაწვრილებითი ცნობების მიღება სწარმოებს ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა: ვოლგა-კამის კომერციულ ბანკში და ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში დილის 10—1 საათამდე. (2902 4—2)

ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი
ამით აცხადებს
რომ გრძელდება სტუდენტების მიღება ყველა ფაკულტეტის 1-ელ კურსებზე
ამ. წ. 1 სექტემბრამდე.
1. საინჟინრო-მექანიკურზე, განყოფილებები: მექანიკური, გიდრო-მექანიკური, ელექტრო-მექანიკური და საინჟენერო საამშენებლო (ქვე-განყოფილებებით: საგზო-საამშენებლო, საინჟენერო-სანიტარული და მელიორატიულ გიდრო-ტეხნიკური).
2. სასოფლო-სამეურნეოზე. განყოფილებები: მცენარეთა საამშენებლო, მესაქონლეობის და ტყის.
3. ეკონომიურზე, განყოფილებები: ეკონომიური და კომერციული.
მიღების წესის გასაგებათ უნდა მიმართონ ინსტიტუტის კანცელარიაში—რუსთაველის პრ. № 19. დილის 9—3 საათ. ნამდვილ სტუდენტების გარდა ინსტიტუტში მიიღებიან თავისუფალი მსმენელებიც. რექტორის მოვ. დროებით აღმს. ტფილ. პოლ. ინსტ. ორდინ. პროფესორი ა. დიდებულიძე. (2848—1—1)

სამხედრო სკოლაში
გრძელდება ახალგაზრდათა მიღება მიიღებიან აგრეთვე 1-ლ ხარისხის უფლებებით რომლებიც კი გადასული არიან მე-7 კლასში. (2949—2—1)

ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების საორგანიზაციო გამგეობა ამით აუწყებს, რომ
კვირას, 12-ს ამა ენკენისთვეს, საღამოს 7 ს. ქ. ქუთაისში
თვითმართველობის ბინაში, დანიშნულია
აქციონერთა პირველი საზოგადოება
რომელმაც უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს შემდეგი საკითხები: 1) ტყის საქმის მოწყობის საკითხი, 2) საქსოვ-საფეიქრო და მექანიკური მანქანების მოწყობის საკითხი, 3) გამგეობის (§ 23) და საბჭოს წევრთა რიცხვის (§ 35) და მათი და სარევიზიო კომისიის წევრთა ჯილდოს განსაზღვრის საკითხი, 4) გამგეობის წევრთა (§ 23) და მათი სამი კანდიდატის (§ 21) არჩევანი, 5) საბჭოს წევრთა არჩევანი (§ 35) და 6) სარევიზიო კომისიის ხუთი წევრის და ორი მათი კანდიდატის არჩევანი (§ 63) (2951—1—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—ო.)

ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან

ჩვენ რამდენიმე თვის წინეთ შევკარით ზავი საბჭოთა რუსეთთან—შემდეგ საბჭოთა ადერბეიჯანთანაც.

მაგრამ დღემდე ეკონომიური ურთიერთობის სფეროში ვერაფერი მოგვიწყვია.

გასაკვირველი აქ არაფერია. საზავო ხელშეკრულობის დადებით კიდევ არ შეცვლილა გარშემორტყმულ კუთხეთა ხელმძღვანელების პოლიტიკა ჩვენდამი. ჩრდილო კავკასიის და ადერბეიჯანის ქუჩებში მაინც აპობდა ჰაერს საომარი ყიჟინა საქართველოს წინააღმდეგ.

ესეც არ ყოფილიყო, თვით რუსეთის და ადერბეიჯანის დღევანდელი მდგომარეობა არ იძლევა საფუძველს სწრაფათ და დაუყოვნებლივ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარების.

აქ საჭიროა სულ სხვა გზის გამონახვა, სულ სხვა პრინციპზე დაყრდნობა, ვინემ დანარჩენ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ერთი რომ რუსეთი დანგრეულია და იქიდან სამაგიეროს მიღება შეიძლება მხოლოდ დაბეჭდილი ქაღალდების ნიშნების სახით, რაც უნივთოთ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

მეორეთ, თვით სავაჭრო ხელშეკრულება დღემდე იდებოდა თავისუფალ კერძო ინიციატივის ნიადაგზე, და უზრუნველყოფდა ამ ინიციატივის განხორციელებას. სახელმწიფოც თავის თავს ამ კერძო ინიციატორთა შორის აყენებდა, მათი წესებით სარგებლობდა.

დღეს რუსეთში კერძო ინიციატივა გაუქმებულია. მაშასადამე მოშლილია საფუძველი ძველი ხელშეკრულების.

მაშ რა გზას უნდა დავადგეთ ამ საკითხში?

გავითვალისწინოთ რუსეთის მდგომარეობა. რუსეთში დღეს ყოველივე ეკონომიური ღირებულება სახელმწიფოს კუთვნილებათ არის გამოცხადებული. თუ კერძო პირთ აქვთ რაიმე და ყიდიან, ეს ხდება გარეშე კანონისა, არალეგალურათ, ცხადია ეს ვერ გახდება ხელშეკრულების საგნათ. საბჭოთა რუსეთში ვაჭრათ მხოლოდ სახელმწიფოა. იგი იძენს და ანაწილებს. ცხადია, რაიმეს გამოტანა რუსეთიდან შეიძლება მასთან შეთანხმებით და ეს შეთანხმება უნდა გახდეს საფუძვლად ეკონომიურ ურთიერთობის.

ცხადია, ჩვენის მხრივაც მათ მიმართ კონტრაგენტათ უნდა გამოვიდეს თვით სახელმწიფო და მხოლოდ სახელმწიფო. ყოველი კერძო ვაჭარი კერძო პირი შეიძლება იქნეს მხოლოდ ამსრულებელი მთავრობის დავალების და მოქმედებდეს მისი ხელმძღვანელობით.

საქართველო მისცემს რუსეთს თავის ნაწარმოებს. მას, გეოგრაფიულ მდებარეობის და პოლიტიკური სიტუაციის გამო, შეუძლია იყოს აგრეთვე მოსაშველი ევროპის ნაწარმოებთა მიწოდებაში. ყველა ამის ნაცვლად იგი რუსეთიდან მიიღებს, უნდა მიიღოს ეკვივალენტი, რეალურ ღირებულების სახით—იქნება ეს ღირებულება საქონლით თუ ლითონი ფულით. ქაღალდის ფულზე გაცვლის დამყარება, როცა თავისუფალი ვაჭრობა დახურულია, სრულიად გამოუსადეგარი და უმიზნო ოპერაციაა.

აქედან ცხადია, ვაჭრობის საფუძველი უნდა იყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა პირდაპირ. გარანტია, რომელიც საჭიროა ამ გაცვლა-გამოცვლისთვის, ორივე მხარემ უნდა დასდოს. ესაა შეძენილი საქონლის უზრუნველყოფა, მისი ხელუხლებლობა იმ მთავრობისაგან, რომლის ტერიტორიაზე იგი შეძენილია.

აი ამ საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებას შეუძლია მოგვცეს ეკონომიური ძაფების გაბმა რუსეთთან, და სარგებლობა მოუტანოს ორივე მხარეს.

ზოგი რამ

ქართველი პურიშკევიჩი.

რუსული საქმიანობის ნაციონალიზაციას პურიშკევიჩის ნაციონალიზაციაც დაერთო. ეს გახლავთ წევრი დამფუძნებელი კრებისა ბ-ნი გრიგოლ ვეშაპელი. რუსი პურიშკევიჩი ებრაელებს სჭამდა, ქართველი პურიშკევიჩი რუსებსა სჭამს. რუსი პურიშკევიჩი ქალაქებში ახდენდა პოგრომებს, ქართველი პურიშკევიჩი ვაგონებში და საბილეთო კასაში ახდენს პაგრომს. რუსი პურიშკევიჩი ყოველივე ასეთ სისაძაგლეს სათათბიროს წევრის საპატიო სახელით სჩადიოდა, ქართველი პურიშკევიჩი, ვითარცა დამფუძნებელი კრების. რუსი პურიშკევიჩი რუსული შოვინიზმით ამაყობდა, ქართველი პურიშკევიჩი ქართული შოვინიზმით ამაყობს. რუს პურიშკევიჩს ქვეყანა იცნობდა თავის სკანდალებით, ქართველ პურიშკევიჩსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს თავის სკანდალებით და თავხედობით. ერთი სიტყვით რუსეთი ველარ წამოგვძახებს, რომ მას ყავდა ისეთი შესანიშნავი პირი, როგორიც იყო პურიშკევიჩი.

დავიჯეროთ რომ დამფუძნებელი კრების წევრები ასე უყურადღებოთ დატოვებენ ბ-ნ ვეშაპელის თავხედობას, და მას ნებას მისცემენ რესპუბლიკის უმაღლესი დაწესებულების სახელით კვლავ განაგრძოს ბორჯომის მსგავსი უმგვანო სკანდალები?

* * *

პოლკოვნიკი ჭიჭინაძე.

ვინმე პოლკოვნიკ ჭიჭინაძეს მეტად უყვარს თურმე „სიმონიკა გოცაძე“. ჩვენ არაფერი გვაქვს იმის წინააღმდეგ, რომ „სიმონიკა“ ვინმეს უყვარდეს, რადგან ის მართლაც საყვარელი ვაჟია. მაგრამ როცა მისი სიყვარულით სახელმწიფოს სამსახური და მისდამი მოვალეობა ფეხქვეშ ითელება, იძულებული ვართ მოვითხოვოთ რომ ბ-ნ ჭიჭინაძეს სამუდამოთ აეკრძალოს „სიმონიკას“ სიყვარულზე სამსახურის დროს ხარჯვა და მას მიეცეს სრული თავისუფლება ინებივროს ამ სიყვარულით არა სახელმწიფო სამსახურში, არამედ თავის საკუთარ სახლში.

ასეთი მოსვენება, უეჭველია, პოლკოვნიკ ჭიჭინაძესაც მოუხდება, რადგან ის, როგორც ათასეულის ექიმი ამოწმებს, „მძიმე ნევრასტენიით“ არის ავად და „საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლა-მზრუნველობასო“. („სახ. ფურ.“ № 921).

დამეთანხმებით, რომ ასეთ „განსაკუთრებულ მოვლა-მზრუნველობას“ ვერ გამოიჩენენ ვერც პატიმარნი და ვერც ათასეულის ჯარისკაცნი და აი ჩვენ გვინდა ვიცოდეთ—პოლკოვნიკი ჭიჭინაძე სახლში ექიმობს თუ კიდევ განაგრძობს „სიმონიკას“ სიყვარულს სახელმწიფო სამსახურში? **განი.**

საქართველო ინგლისურ სარკეში *)

წერილი ლონდონიდან.

II

საგარეო ინტრიგები.

ჩვენ მკითხველებს უკვე გავაცანით, თუ როგორ მოსჩანს საქართველო ინგლისურ პრესის სარკეში, და აქედან ანარეკლ სხივებს რა ზიანი მოაქვთ საქართველოს საგარეო მდგომარეობისთვის.

ახლა ჩვენს მკითხველს კიდევ უნდა გავაცნოთ ორი საინტერესო წერილი, რომელიც ამ ახლო წარსულში დაიბეჭდა „ტაიმსში“ და „დეილი ტელეგრაფში“. ინგლისელი კორესპონდენტები თუ მათი მოკარნახე ვაჟბატონები საქართველოს შესახებ, რასაკვირველია, თავის შეხედულებას არ სცვლიან და განაგრძობენ იმ გზას, რომელიც მათ ერთხელ ვე აირჩიეს. მეტად საინტერესოა ერთი პატარა ღია წერილი, რომელიც დაიბეჭდა უდიდეს გაზეთ „ტაიმს“-ში და რომელიც ჩვენ მოგვყავს სავსებით.

ბათომის ბედი.

„ტაიმსის“ რედაქტორის მიმართ „ტაიმსი“ № 42,480, 4 აგვისტო.

„სერ, თქვენს მკითხველებს („ტაიმსისას“) ემახსოვრებათ, რომ ამ წლის თებერვალში მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ, რომლის სხდომა იყო სან რემოში, განაცხადა, რომ ბათომი და მის გარშემო „მცირე ზონა“ იქნებოდა ერთა ლიგის ზედამხედველობის ქვეშ „სანამ რუსეთის საკითხი საბოლოოდ მოგვარდებოდა“. მიუხედავათ ამისა, უკანასკნელ თვეში, ბათომი დასტოვეს ბრიტანელებმა, რომელნიც მართავდენ მას ერთა ლიგის სახელით, და რომელთაც ნება მისცეს ქართველებს შესულიყვენ ქალაქში. ამდენი ხანია და ჯერ არ ვიცით: ქართველები შევლენ იქ, როგორც ერთა ლიგის მანდატორები, თუ ლიგამ, ბედის ანაბარათ მიაგდო იგი. სხვათა შორის, ევაკუაციის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბათომ-ყარსის რკინის გზის კონცესიაზე ბრიტანელ ინჟინერთა უფლება უზრუნველყოფილია. ამას თავისი აზრი და მნიშვნელობა ეკარგება, რადგან წესრიგს მოკლებულ პროვინციის შიგნით, არავითარი რკინის გზის შენების დაწყება არ არის შესაძლებელი.

მე მივმართავ თქვენი გაზეთის სვეტს ინფორმაციისთვის ამ საკითხის შესახებ ორივე მხარის სახელით. ბათომის პროვინციის მცხოვრებთა სახელით, რომელთაც წარმოდგენილი ქონდათ, რომ უმაღლესი საბჭო აქეთებდა იმას, რაც მან სთქვა, და სომხეთის ერის სახელით, რომლისთვისაც მეორე ქვეყნისკენ (ევროპისკენ. ვ. ნ.) დაუბრკოლებლივი მიმოსვლის უზრუნველყოფა არის უპირველესი აუცილებელი საქმე. შესაძლებელია საინტერესო იქნეს გავიხსენოთ, რომ რამოდენიმე ინგლისელმა, რომელნიც მოკავშირეთა განცხადებას დაენდვენ, გადასწყვიტეს ბათომის პროვინციაში დასახლებულიყვნენ. მე არ ვარ მათგანი, მაგრამ მე მაინტერესებდა გამეგო, როგორ უყურებენ ისინი იმ ხალხს, რომელთა დაპირებებსაც დაუჯერეს მათ, იყიდეს მიწა და მოათავსეს თავისი ნაჭირნახულევი კაპიტალი ბათომის პროვინციაში.

დავშთები თქვენი ერთგული ს. ე. ბეჩჰოფერი“.

ასეთი არის მკითხველო, ის გალაშქრება, რომელიც ბათომისკენაა მიმართული.

მკითხველს უნდა გავახსენოთ ის ფაქტი, რომ ბათომისა და მისი ოლქის შესახებ საზღვარ გარეთ დიდი ინტრიგები სწარმოებდა. ამიერ-კავკასიის თვითოეული სახელმწიფოს განზრახულ ტერიტორიის ყველა რუქაზე ბათომი და მისი ოლქი აღნიშნული იყო. ადერბეიჯანის ბეცი პოლიტიკოსები მას ეპოტინებოდენ და თავისათ ასაღებდენ. მეორე მხრივ, სომხების უკუღმართი პოლიტიკოსებიც გვედავებოდენ და მას თავისათ სთვლიდენ. ამ საკითხის გარშემო ინტრიგების ფართო ქსელი იყო გაბმული. როგორც ჩვენი მკითხველი დაინახავდა, ეს ინტრიგების ქსელი ჯერაც არ დარღვეულა და არ მოსპობილა, მაგრამ ამის შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი, როდესაც დამატებით ფაქტს გაგაცნობთ.

მეორე ყურადსაღები წერილი დაიბეჭდა დიდ გაზეთ „დეილი ტელეგრაფ“-ში. ეს წერილი ეკუთვნის იმავე კორესპონდენტს, რომლის პირველი წერილი უკვე გავაცანით მკითხველს.

წერილს ასეთი სათაური აქვს:

საქართველო და რუსეთი

ხელშეკრულება ხელმოუწერელია.

რეფორმის საჭიროება.

(„დეილი ტელეგრაფი“ № 20,374, აგვისტოს 4)

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისგან

ბათუმი, ივლისის 8.

ფართო განცხადებათ მოედო ყველა ქვეყნის პრესას, რომ საქართველომ ლენინთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა და საქართველოს ნაციონალურმა კრებამ დაამტკიცა იგი. ამბობდენ, რომ ამ ხელშეკრულებამ საქართველო საბჭოთა რუსეთის ვასალათ გახადა. მოკლეთ, ყველა ისეთი შთაბეჭდილების ქვეშაა, რომ საქართველო გახდა ბალშევიკური. არაფერი არაა სიმართლეზე ისე დაშორებული, როგორც ეს. ეჭვი არაა, რომ საქართველომ განახორციელა ბევრი სოციალისტური ზომა, და თავის თავს აცხადებს როგორც სოციალისტურს, მაგრამ ბალშევიკებს ძალიან მტრობენ, ინდივიდუალურათ და კოლექტიურათ; მინისტრებს სძულთ ლენინი, რომელსაც მთავრობის ზოგი წევრი პირადათ იცნობს, და არ მოსწონს მისი გზები. ამ შემთხვევაში სახეს იჩენს მთელი ერის ინსტიკტი და მიმართულება, რომელი ერიც შესდგება უმთავრესათ წვრილ მესაკუთრეებისაგან; მათ შორის რუსეთისადმი სიძულვილი დიდი ხნის ცნობილი ფაქტორია. დამფუძნებელი კრების ორი შესანიშნავი წევრი ბ.ბ. გვაზავა და სვიმონოვი, *) რომელნიც ნაციონალისტები არიან, ანუ ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, ზომიერი კონსერვატორები ბრიტანეთის პოლიტიკაში, მოწმობენ, რომ ეს ხელშეკრულება, რომელსაც მოსკოვში, შუაღამისას საქართველოს არაოფიციალურ აგენტმა მოაწერა ხელი, რომელიც ხედავდა რამოდენიმე დღის განმავლობაში როგორ გადადიოდა ლენინის ხელში ბაქო. ეს იყო ის დრო, როდესაც ანტანტამ თავისი სიჩუმით და ლენინთან მაჰანკლობით, საქართველო და სომხეთი მგლებს მიუტოვა. ხელშეკრულება, როგორც ზავის ხელშეკრულება პრინციპიალურათ იქნა მიღებული, მხოლოდ გაეგზავნა მინისტრებს ამიერკავკასიის ქალაქში, ნამდვილი მუხლების განსახილველათ და იმის განსაცხადებლათ, რომ ქართველ ხალხს სრულებით არა აქვს სურვილი თვით უკანასკნელ შემთხვევაში მიმართოს ომს თავის მეზობლის წინააღმდეგ. დაგვიანების შემდეგ, რომელიც კომუნისტური (მიმოსვლის) პირობებით იყო გამოწვეული, ამ ხელშეკრულების ტექსტი მიღებულ იქნა ტფილისში. საქართველოს მთავრობამ მაშინვე შეატყობინა რუსეთის მთავრობას, რომ მთელი ხელშეკრულება მიუღებელია და უარი უთხრეს მის წარდგენაზე დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლათ. ბ.ბ. გვაზავა და სვიმონოვი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ოქმი (რეკორდი) დანარჩენ ყველაფერში სრულ იჭვებს იწვევს. მათი მტკიცება უფრო დამარწმუნებელია, ვინემ რომელიმე ოფიციალური განცხადება, ან ფრთხილათ მოკვარახჭინებული ცნობა, რადგან ისინი და მათი პარტია არსებულ მთავრობის მედგარი ოპოზიციონერებია, თუმცა ისინი ჯერ არ სცდილობენ ჩამოაგდონ მთავრობა თავის ადგილიდან შინაურ მიზეზების გამო, როდესაც ქვეყანა საფრთხეშია გარეშე მტრებისაგან.

სულელური ტყუილი.

ბ. გვაზავა, დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის სრულუფლებიანი წევრი სულელურ ტყუილათ სთვლის იმ ცნობას, თითქოს რაიმე აქტი ანუ შეთანხმება გულისხმობდა საქართველოს მთავრობის მოვალეობას, რომ მოსკოვის საბჭოთა მთავრობისათვის გადაეცა ყველა ის რუსი, რომელთაც ცოტათ თუ ბევრათ ლენინის წინააღმდეგ სადმე მონაწილეობა მიუღიათ. რუსების დიდი რიცხვი, რომელნიც ბალშევიზმის საშინელებას გამოექცენ, დღეს-დღეობით საქართველოში იმყოფება. ბევრ მათგანის გულისთვის ლენინი ბევრს მისცემდა, რომ ჩაეგდო ისინი თავის კლანჭებში. მაგრამ მას ხელს უშლის მთებში მცხოვრებ ხალხის გადაწყვეტილება, რომლის დამარცხება და დაპყრობა ძნელია, რომელიც აღფრთოვანებულია და გაცოცხლებულია ნაციონალიზმით, რომელსაც შთაბერილი აქვს სიყვარული ახლათ დასაკუთრებულ დამოუკიდებლობისადმი. ლენინმა იცის, რომ თუ იგი დაიპყრობს ამ ქვეყანას თავის ჯარების ძალით, საქართველო შეიქნება „damuosa bereditas“—სახიფათო მემკვიდრეობა და მუდმივი მიზეზი შეწუხებისა და დავი-დარაბისა. ამიტომ უმჯობესად მიაჩნია შეეკრას პირობით ამ ჯიუტ ხალხს ეხლა მაინც და შესძლოს საგარეო ვაჭრობის დაწყება, რომ ასე უზრუნველყოს რუსეთი საჭირო საქონლით ქართველ ვაჭართა და ბათომის ნავთსადგურის საშუალებით, რომელიც დღეს საქართველოს დროშის ქვეშ არის.

მოწმეთაგან დაგროვილი ჩვენებანი ისეთია, რომ რუსეთის საბჭოთა დელეგაცია, მოწვეული ტფილისში ახალი ხელშეკრულების საფუძვლების გამოსარკვევათ, გახდა სრულიად უილიუზიო. ეს დელეგაცია ჩამოვიდა იმ მტკიცე რწმენით, რომ მათ თავის ნებაზე მოქცევის ნებას მისცემდენ.

მათ ყავდათ თან ბალშევიკური პროპაგანდისტები და სხვა საეჭვო აგენტები, მაგრამ ისინი შეხვდენ მედგარ შინაგან საქმეთა მინისტრს, ბ. რამიშვილს, რომელსაც მხარს უჭერდა საზოგადოებრივი აზრი და რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ რუსეთის მისიის წევრთა რიცხვი შემცირებულიყო რამოდენიმე პირამდე; შეხვდენ მინისტრს, რომელიც ნებას არ მისცემდა ვინმეს კავშირი დაეჭირა დელეგაციასთან რაიმე პრეტენზიის გამო, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი,—და მან პირდაპირ აცნობა რუსეთის წარმომადგენლებს, რომ დიპლომატიურ მისიის განსაზღვრულ საქმეთა გარდა ყოველივე სხვა ნაბიჯის გადასადგმელათ ყოველივე ცდას, თან მოჰყვება მთელი მისიის დაპატიმრება. რუსეთის მთავარმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ბ. კიროვმა, არის საბუთი დავიჯეროთ, უკვე შეატყობინა ლენინს, რომ მისი მდგომარეობა აუტანელია და რომ ყოველ შემთხვევაში არავითარი პროგრესი არ გაკეთებულა დამოკიდებულებაში; ქართველები დარჩენ ისეთივე გულქვა. მათ სურთ, მეგობრული მეზობლები იყვნენ და საუკეთესო კომერციული დამოკიდებულება დაამყარონ, მაგრამ ისინი არ ღებულობენ ისეთ პირობებს, რომელიც რუსეთს ხელებს გაუხსნიდა.

მოსკოვის მთავრობას არ შეუძლია ჯერ დახარჯოს ხალხი საქართველოსთან ომში და ამიტომ შეეცადა დათანხმებულიყო ქართველების არსებით დამოუკიდებლობაზე იმიტომ, რომ ხელი შეეწყო რუსეთის ხალხის აუცილებელ პირველსაჭიროების საგნებით დაკმაყოფილებისათვის კავკასიაში საგარეო ვაჭრობის წარმოებით და ბათომის ნავთსადგურის სარგებლობით, რომელიც დღეს საქართველოს მფლობელობაშია. თუ რუსეთის კლანჭები ბაქოზე შერჩება, საეჭვოა მაინც, რომ ადერბეიჯანის პროვინციების დაჭერას შესძლებს, თუ გინდ ტროცკის შეეძლოს დიდი ძალებით გაავსოს ეს ქვეყანა, რომელიც უკვე მივიდა შიმშილობამდე და არის აღელვებული ბაქოში რუსეთის მმართველობით.

სომხეთის რესპუბლიკაც ეკალია ლენინისთვის, სომხეთი, რომელმაც განაახლა თავისი ჯარი, აღჭურვა ევროპაში ნაყიდი სურსათით და იარაღით და ზურგგამაგრებულია მისი სიცოცხლის დამცველ შეერთებულ ნაციების მიერ. ეს მოსაზრებანი რუსეთს ხელებს უბორკავს და მოცდის პოლიტიკა მისთვის უფრო შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს. ლენინის გადაწყვეტილი მიზანი გულწრფელათ აღიარეს საბჭოთა მისიის წევრებმა ტფილისში, რომელთაც განაცხადეს, რომ მზრუნველობითი აღწერა ყველა იმ ქონებისა საქართველოში, რომელზეც განცხადებულია რუსეთის უფლება, უკვე სწარმოებს. ამ ქონებაზე ფულის გადახდა საქართველოს მთავრობას მოეთხოვება ამ წლის ბოლომდე და თუ საქართველომ ეს არ აასრულა, მას მოუხდენენ „ოკუპაცია“-ს რუსეთის საბჭოთა ჯარები. გარემოება ხელს შეუწყობს რუსეთის მთავრობის თავმოყვარეობას, თუ საქართველოს მთავრობა არ გამოუკეთდა. ძახილი: საქართველო ქართველებისთვის შეიძლება განიავებული დარჩეს. ნაციონალიზმი გახდა უცხოელთა გაკრეჭის საბაბი.

ვიქტორ ნოზაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „ერთობა“ № 105.

*) ბ. გვაზავა რომ შესანიშნავი წევრია ეს ბავშმაც იცის, მაგრამ თუ ვიღაც სვიმონოვი დამფუძ. კრების წევრი იყო და ისიც შესანიშნავი,—ეს არც ჩვენ ვიცოდით. ვ. ნ.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

„ორი მუწუკი“. ამ სათაურით კავკასიის „კომუნისტ“-ის № 120-ში, მოთავსებულია ვინმე რუბენის წერილი, მუწუკებია: ერთი ვრანგელის ფრონტი, მეორე შინაური „კონტრ-რევოლიუცია“. რუბენი სწერს: „ვრანგელის ფრონტის ლიკვიდაციასთან ერთად ჩვენ გვჭირია უსასტიკესი ზომებით მოვსპოთ შინაური კონტრ-რევოლიუცია, რომელიც ყოველს საათს იჩენს თავს. ვრანგელის აგენტები დაძრწიან თერგზე და ყუბანზე, საბჭოთა საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან და ცდილობენ მასის ბნელი ელემენტი თავისი კონტრ-რევოლიუციონური მიზნისათვის გამოიყენონ. თერგზე კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობის მთავარი ბაზა არის „დემოკრატიული“ საქართ-

დღეს

პოლონელებს და ლიტველებს შორის სამარი მოქმედება შესწყდა. საზავო მოლაპარაკება დაიწყება მარიამპოლში.

ინგლისს-ეგვიპტეს შორის დადებულ ხელშეკრულობით ინგლისი აღიარებს ეგვიპტეს დამოუკიდებლობას და უზრუნველჰყოფს მას გარეშე მტრის თავდასხმისაგან.

ოსმალეთში გამოცხადებული საერთო ამნისტია არ ვრცელდება მხოლოდ მუსტაფა ქემალ ფაშაზე და მის ახლო თანამშრომლებზე.

ველო. დასასრულ რუბენი მოუწოდებს მუშებს, რომ ისინი მოვალენი არიან აქტიური დახმარება გაუწიონ ჩერეზვიჩაიკებს.

„ჩერეზვიჩაიკის თავმჯდომარის მოკვლა. პიატიგორსკი, 28 აგვ. გუშინ ქალაქს გარედ ავტომობილით მიმავალი „ჩერეზვიჩაიკის“ თავმჯდომარეს ზენცევს და „ნაჩგარნიზონს“ ლონინს ყაჩაღები დაესხნენ. თოფის ზალპით ზენცევი და ლონინი მოკლეს. ყაჩაღების დასაჭერად სასწრაფო ზომებია მიღებული. ქალაქში რევოლუციონური წესრიგია. („კომ.“ № 120).

ყაჩაღთა ბრბოები. პიატიგორსკი. კისლოვოდსკის „ნაჩგარნიზონი“ ამხ. რიაბოვი თავისი გარნიზონს დახმარებით თავს დაესხა ბატალპაშინის და ბეკეშევის რაიონს, სადაც ტყეებში 300-მდე ყაჩაღი იმალება ტყვიისმფრქვევლებით. რიაბოვმა ბრბოები გაჰფანტა, წამოიყვანა 10 ცხენი. ბრბოს მოსასპობათ მიღებულია ზომები. („კომ.“ № 120.)

„წყლის მომარაგების კვირა“. კავკავში წყლის დიდი სიმცირეა, იმის გამო, რომ წყალსადენი და წყაროები მოიშალა. ამიტომ 30 აგვისტოდან დაიწყო „წყლის მომარაგების კვირა“. არჩეულია საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს ზომები წყლის მოსამარაგებლათ. („კომ.“ № 120).

რუსეთის ვალი. კავკავის „კომუნისტ“-ის № 122 ში სწერია: „რუსეთი 60 მილიარდზე მეტი არა ღირს. ვალი კი, რომელიც ჩვენ მეფემ მოგვახვია თავს, 80 მილიარდს უდრის. ბოლშევიკებს არ სწადიათ მისი გადახდა“.

საბჭოთა მთავრობა და მღვდლები. მაიკოპი. 16 აგვ. ქალაქის ეკლესიის ბლაღოჩინის, დეკანოზების და მღვდლების მიერ მორწმუნეთადმი მიმართულ ეპისტოლეში მაიკოპის სამღვდელოება მხურვალეთ მიესალმება საბჭოთა მთავრობის დეკრეტს სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის შესახებ. ეპისტოლე ასე თავდება: არავინ და ვერც ერთი ორგანიზაცია სახელმწიფო ან პირადულ, ვერც კი გაიფიქრებენ სამარცხვინო წარსულზე, როდესაც ქრისტეს ეკლესია სახელმწიფოს ყვანდა დამორჩილებული.“ („კომუნ.“ № 122.).

აჯანყება და თავდასხმები. კავკავის ორგანიზაციების შეერთებულ სხდომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გიკალომ, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა: ვრანგელის დესანტის გადმოსხმისთანავე დამალულმა თეთრგვარდიელებმა აშკარათ თავი წამოყვეს; შეადგინეს რაზმები, რომელთაგან ზოგი 200—300 კაცისაგან შესდგება; თავს ესხმიან სტანციებს, აფუჭებენ რკინის გზის ლიანდაგს და ტელეგრაფს. („კომ.“ № 125)

მასწავლთა მობილიზაცია. თერგის ოლქის სახალხო განათლების განყოფილებამ მოახდინა ყველა მასწავლებლების რეგისტრაცია. მასწავლებლები ეხლა შრომის მობილიზაციის წესით ითვლებიან გაწვეულათ და მათ გაანაწილებენ მთელი ოლქის სკოლებში. ამ ჟამად მასწავლებელთა დიდი სიმცირეა. („კომ“. № 125).

თეთრი ბრბოები. ნალჩიკის რაიონში მთებში დახიზნულნი არიან თეთრი ბრბოები. („კომ.“ № 125).

მუშა ხელის, ტრანსპორტის და სურსათის უქონლობის გამო ყიზლიარის რაიონში ვერ დაამუშავეს 1 მილიონ ვედრომდე ღვინო. („კომ.“ № 125).

„წითელ“ აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

შრომის მილიტარიზაცია. პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მოხდეს შრომის სრული მილიტარიზაცია. („კომ.“ № 124).

ტელეფონისტების ლანძღვა. ბაქოს გარნიზონის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ საბჭოთა დაწესებულებათა მოსამსახურეებმა შესწყვიტონ ცენტრალური სადგურის ტელეფონისტების ლანძღვა, რაც ბოლო დროს ძალიან გახშირებულა. („კრ. ვოინ“ № 148).

სპეციალისტები ჯარში. „რევკომსოვეტმა“ დაადგინა შეაჩერონ მუშასპეციალისტების განთავისუფლება ჯარიდან ქარხნების საჭიროებისათვის. („კრ. ვოინ“ № 148).

სუბოტნიკები და კომუნისტები. „ძალიან ხშირად ამხ. კომუნისტები პარტიულ კრებებს არ ესწრებიან და უყურადღებოთ ეპყრობიან სუბოტნიკებს და სხ.“ („ლისტოკ კომუნისტა“ № 3)

წითელარმიელები და კომუნისტური პარტია. „წითელარმიელთა მასის უდიდესი ნაწილი უპარტიოა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჯერ ერთი, არ იცის კომუნიზმის საფუძველი და მერე კიდევ იმიტომ, რომ წითელარმიელებმა საკმაოდ ვერ შეითვისეს პარტიისადმი პატივისცემა, რომლის ავტორიტეტს ძირს სცემენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც ან მოიპარავენ რამეს, ან რაიმე სისაძაგლეს ჩაიდენენ. („ლისტოკ კომუნისტა“).

სოციალისტური რევოლიუციის იდეები და აზერბეიჯანის სოფელი“ ამ სათაურით „კრასნი ვოინის“ № 186-ში მოთავსებულია ვ. გრიგორიანის წერილი, რომელიც ასე იწყება: „აზერბეიჯანის ღატაკ-გლეხთა მასაში გონებრივი და სულიერი გარდატეხა უფრო სწრაფად და უფრო უმტკივნეულოთ მოხდა, ვიდრე რუსეთის მშრომელ გლეხობაში. ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში ეხლა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აზერბეიჯანელი გლეხიც. ყრილობებზე იგი აყენებს სულ ახალ ახალ საკითხებს და პოულობს გზებს მათ გადასაწყვეტათ. გლეხთა მილიონი მასის წრეებათ დანაწილება—აი რას ვხედავთ ეხლა აზერბეიჯანის სოფლის ცხოვრებაში. და ეს არის გლეხთა ყრილობების დიდი მუშაობის ერთ-ერთი შედეგი.“ ქვემოთ არის კიდევ ორი ასეთი ფრაზა: „მუშათა და გლეხთა რევოლიუციის იდეები ფეხს იკიდებს აქამდე ბნელ სოფელში. აზერბეიჯანის ჩამორჩენილი მასა ნელნელა იწყებს საბჭოთა მთავრობის იდეების შეთვისებას.“

„ბინების სუბოტნიკი“. საბჭოთა რუსეთის სხვა ქალაქების მიბაძვით ბაქოშიც ეწყობა „ბინების სუბოტნიკი“. „კრასნი ვოინი“ (№ 185) ამის შესახებ სწერს: „ასეთი სუბოტნიკი ჯერ არ გვქონია. მაგრამ უნდა მოვაწყოთ იგი. ბინის საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ ყოველ დღე დიდი უსიამოვნება ხვდება საბინაო განყოფილებას. ცენტრალურ საბინაო განყოფილებას არა ჰყავს მუშაკების საკმაო კადრი და ცხადია, ამიტომ იგი ვერ შეასრულებს თავის საქმეს და ვერ მოაწესრიგებს საბინაო საკითხს. ამიტომ თავის თავად საჭირო ხდება გარეშე დახმარება საბინაო განყოფილებისთვის. „ბინების სუბოტნიკის“ მოწყობა მოგვცემს საშუალებას გამოვარკვიოთ: 1) შესაძლებელია თუ არა მცხოვრებთა უფრო მჭიდროთ ჩასახლება, 2) რამდენი თავისუფალ ბინის დათმობა შეიძლება ქალაქში ჩამოსულ მოქალაქეთა და სამხედრო ნაწილებისთვის და 3) რამდენათ სინდისიერათ ასრულებენ სარაიონო ბინის განყოფილებები მათზე დაკისრებულ მოვალეობას. „ბინის სუბოტნიკი“ ერთ და იმავე დროს მოხდება ქალაქის ყველა ნაწილში და მოხდება ბინების ერთი დღის აღწერა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 სექტემბერი.

ფრანგული ცნობები

ლიტვა და პოლონეთი.

ვარშავიდან მოსული დეპეშა იუწყება: მტრული მოქმედება პოლონელებსა და ლიტოველებს შორის საბოლოოთ შესწყდა. საზავო მოლაპარაკება მარიამპოლში შესდგება.

ლორდი დერბი.

ლონდონში მყოფი „მატენის“ კორესპონდენტი იუწყება: მომავალ ნოემბერში ლორდი დერბი სტოვებს თავის ადგილს, რომელსაც გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლორდი ხარდინგი დაიჭერს.

პოლონეთის მრეწველობის აღდგენა.

თანახმად „ექსცელსიორის“ ცნობისა ელიზეში პოლონეთის მრეწველობის აღდგენის და სირიის საკითხები გაირჩევა

დუნაის კომისია.

დუნაის კომისიამ ორშაბათს თავისი მუშაობა განაახლა.

გერმანიის მოთხოვნილებანი.

ელჩთა კონფერენციამ, ორშაბათს, თავის სხდომაზე განიხილა და უარყო გერმანიის ზოგიერთი მოთხოვნილებანი.

პოლონეთის მინისტრის განცხადება.

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც დანციგიდან დაბრუნდა, განაცხადა: გერმანია არავითარ ზომას არ ღებულობს, რომ ხელი შეუშალოს გერმანელების წითელ არმიაში შესვლას. მოკავშირეთა მტკიცე პოლიტიკამ მისცა შეძლება პოლონელ ემიგრანტებს ამერიკიდან დანციგში დაბრუნებისა და აგრეთვე პოლონეთის საჭიროებისათვის სამხედრო მასალის გამოგზავნისათ.

გერმანული ცნობები

საქონლის გატანის წესი.

დაინტერესებულ წრეებში გაბატონებული აზრი, თითქოს გერმანიიდან საქონლის გატანა აკრძალული ან გაძნელებული იყოს, შეცდარია. საგარეო ვაჭრობის საკონტროლო ბიურო ცდილობს მხოლოდ მოაწესრიგოს გერმანიის საგარეო ვაჭრობა. გატანის პირობები უკანასკნელ დროში ბევრად უფრო გამარტივებულია. ეს გამარტივება უმთავრესად გასატან საქონლის გადათვალიერებას შეეხება. მეორე მხრით, მრეწველობა განვითარდა, ამასთანავე საქონლის დამზადებასა და მოთხოვნილების შორის ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. ამრიგათ, გერმანიიდან საქონლის გატანას არავითარი დაბრკოლება არ ელობება.

განხეთქილება დამოუკიდებელთა შორის.

ბავარიიდან ხმები მოდის დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიაში მომხდარ განხეთქილების შესახებ. უკიდურესი მემარცხენენი კომუნისტურ პარტიას შეერთებიან.

საბჭოთა რუსეთის საჭიროებისათვის.

ხენტშელის ორთქმავალთა ქარხანა კასელში საბჭოთა რუსეთის საჭიროებისათვის 200 ორთქმავლის კეთებას შეუდგა.

ლიონის ცნობები

გერმანია და პოლონეთი

„დეუტშე ანგემეინე ცეიტუნგი“ იუწყება: პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე მინისტრმა სიმონსმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება, რომელიც გერმანიასა და პოლონეთის შორის დაიწყო ჩქარა უნდა დასრულდეს, ვინაიდან გერმანელების მოთმინების ფიალა აივსო, რის დამამტკიცებელიც ბრესლავლში მომხდარი ინციდენტი არისო. მოლაპარაკება, რომელიც სიმონსმა ახსენა, დაიწყო იანვარში პოლონეთის მთავრობის ინიციატივით. მოლაპარაკების მიზანი იყო ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტა (ბოლო დამახინჯებულია).

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

9 სექტემბერი.

ბატონობის ჯოხი.

ბერლინი. 24 აგვისტო. „ტაიმსის“ ბერლინში მყოფ კორესპონდენტმა ინახულა პეტროგრადიდან დაბრუნებული არქიეპისკოპი, ედუარდ როპი, რომელმაც განაცხადა: „საკუთარმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ბოლშევიზმი სრულებით არ არის რუსის ხალხის ეროვნული მოძრაობა. რუსის ხალხის უდიდესი ნაწილი უნებო მასსაა, რომელზედაც ყველას შეუძლია იბატონოს. არსებობს მართლაც თავდადებულ კომუნისტთა პატარა ჯგუფი, რომელსაც ეს ბატონობის ჯოხი უკავია. ამ კომუნისტთა შორის თვით რუსები მცირე რიცხვს შეადგენენ. უმთავრესად კი ამ ჯგუფის შემადგენლობა ინტერნაციონალურია.

ამნისტია ოსმალეთში.

პარიზი. „ტანი“ იუწყება: თანახმად კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებისა ახალ კომიტეტს საერთო ამნისტია გამოუცხადებია: ამნისტია არ ვრცელდება მხოლოდ მუსტაფა ქემალზე და მის ახლო თანამშრომლებზე.

შავი ზღვა და ინგლისი.

ლონდონი. 26 აგვ. სამინისტროს პირველმა ლორდმა ლონგმა თემთა პალატაში შემდეგი განცხადება გააკეთა მე მეკითხებიან, ვის ინტერესებს იცავს შავ-ზღვაში და ყირიმში ინგლისის სამხედრო გემები, მას შემდეგ, რაც მთავრობამ განაცხადა: ჩვენ ვიხსნით თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას გენერალ ვრანგელის მოქმედებაზეო. ამ კითხვაზე მე გიპასუხებ: ეს ინტერესები იგივეა, რაც გვაქვს ჩვენ ქვეყნის ყველა ნაწილში, სადაც კი საჭიროა სავაჭრო გზების და ვაჭრობის თავისუფლების დაცვა. გარდა ამისა, ყირიმში ინგლისს განსაკუთრებული ინტერესები აქვს, რაც რუსეთის ლტოლვილებზე ზრუნვაში გამოიხატება. ეს ლტოლვილები იმყოფებიან ეგვიპტეში, ლემნოსში და სხვაგან და ამ ჟამად თანდათან ბრუნდებიან რუსეთში.

ინგლისი და ეგვიპტე.

„ტაიმსი“ აქვეყნებს ინგლისსა და ეგვიპტის შორის დადებულ შეთანხმების ტექსტს. დიდი ბრიტანეთი აღიარებს ეგვიპტის დამოუკიდებლობას და უზრუნველ ყოფს მას გარეშე მტრის თავდასხმისაგან. თავის მხრით ეგვიპტე აღიარებს ინგლისის უპირატესობას ნილოსის ველზე. ინგლისი სტოვებს თავის გარნიზონებს სუეცის არხთან ახლომდებარე ადგილებში. ეგვიპტეს უფლება ეძლევა იყოლიოს საზღვარ გარედ თავისი წარმომადგენლები. ტექსტი შეთანხმებისა დასამტკიცებლად თემთა პალატას წარედგინა.

ზავის გარშემო.

ლონდონი. აგვ. 26. „ივენინგ სტანდარდი“ აღნიშნავს: რუსეთ პოლონეთის მოლაპარაკების საკითხი მეორე ხარისხოვან საკითხად გახდა. ზავის საკითხი ბრძოლის ველზე წყდება და არა კონფერენციებზე. გაზეთის აზრით პოლონეთის საზღვრებზე ბოლშევიკებმა დამარცხება იგემეს.

სანიტარული მდგომარეობა.

მოსკოვი, აგვ 20. ჯანმრთელობის უწყების სახალხო კომისარმა რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენციაზე რუსეთის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გადამდებ სენთა ტალღა საბჭოთა რუსეთში ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადადიოდაო.

საჰაერო საერთაშორისო მიმოსვლა.

ნაუენი. აგვ. 20. გაიხსნა საჰაერო საერთაშორისო მიმოსვლა. ჰაეროპლანები გერმანიის, შვეციის, გოლანდიის და ინგლისის ტერიტორიებს გადაივლიან. ჰაერში საფოსტო და სამგზავრო მიმოსვლაა მოწყობილი კოპენგაგენსა, ჰამბურგსა, ბერლინსა, ამსტერდამსა და ლონდონს შუა.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის საინფორმაციო ბიუროს ბიულეტენი.

8 სექტემბერი.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი, 9 სექტ. (რადიო). ბრესტლიტოვსკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მდ. ლესნაიას რაიონში გავიდა. ამ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლებია. ვოლინის ვლადიმირის რაიონში მტერმა ჩვენ ჯარს გრუბეშოვი დაატოვებინა, ჩვენი ჯარი დასავლეთ ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა. ლვოვის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება; აქ წამოვიყვანეთ 300 ტყვე და ხელთ ვიგდეთ 3 ინგლისური ზარბაზანი.

ყირიმის მხარეზე მზვერავთა მოქმედებაა. აზოვის ზღვის სანაპიროზე, დამატებითი ცნობებით, მოწინააღმდეგის დესანტის გადარჩენილი ნაწილები გემებზე გადავიდა და ზღვიდან ზარბაზნების სროლით ქვეშ ზღვაში გავიდა.

რესპ. რევკოენსოვეტის საველე შტაბის ვოენკომი დინიშევსკი.

მსოფლიო იმპერიალიზმის „ჩუჩელების“ დაწვა.

ბაქო, 9 სექტ. ბაქოს „კომუნისტ“-ის № 104-ში, სადაც აწერილია აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის პატივსაცემლათ მოწყობილი დემონსტრაციები, სხვათაშორის მოყვანილია შემდეგი დაწვრილებითი ცნობა მსოფლიო იმპერიალიზმის ჩუჩელების დაწვის შესახებ: „ყოფილ ქალაქის საბჭოს მოედანზე (ეხლა „წითელი ახალგაზრდობის“ მოედანი) ხისაგან აგებულია ამაღლებული ადგილი, რომელზედაც მოთავსებულია „ბილწი სამება“.

— ლოიდ ჯორჯი, მილერანი, ვილსონი. ყველაფერი თავის რიგზეა; მათ აცვიათ ფრაკი, თანვე აქვთ სამინისტრო პორტფელები, ორდენები და ლენტები. ფრაკის კალთები სასაცილოდ ფრიალებს ჰაერზე.

შეიარაღებული პროლეტარიატი როგორც ვიწრო რკალი, გარს შემორტყმია მსოფლიო ყაჩაღებს. ეშაფოტზე ზის ჯალათი, რომელიც მხიარულად „ოხუნჯობს“, ხელში უჭირავს ბოთლი ბაქოს ნამდვილ „პირველ ხარისხოვანი“ ნავთით („საკუთარი წარმოებისა“) და „ტრიბუნალის“ ბრძანებას უცდის.

აძლევენ ნიშანს. „ჯალათი“ თვითეულ ყაჩაღს უკანასკნელად „ასუნთქებს“ როგორი სუნიაა მათთვის საყვარელი ბაქოს ნავთი, უხვად ასხამს ნავთს მათ სამინისტრო ფრაკებს და ზედ ადებს ანთებულ ჩირაღდანს.

ცელქი ნიავი ხელს უწყობს მართლმსაჯულებას, და ერთი წამის შემდეგ იმპერიალიზმის სამება ცეცხლის ალმა მოიცვა.

ლოიდ-ჯორჯის პორთფელი, რომელსაც, ალბათ ამძიმებს ადვილათ ცეცხლმოსაკიდებელ მასალას საჯარო და საიდუმლო მზაკვრობით და მუხანათობით სავსე ქაღალდები, „ეშაფოტიდან“ მიწაზე ვარდება.

— კარგი ნიშანია—ოხუნჯობს ვიღაცა შეიარაღებულ პროლეტარიატის წრიდან.

ჯერ იღუპება (როგორც მოსალოდნელი იყო) მილერანი, რაც გვაგონებს ლუდოვიგ კაპეტის დაღუპვას: ცეცხლის რაღაც გაუგებარ ჟინის წყალობით ყველაზე ადრე მას ვარდება თავი და ბრახუნით გაგორდა ხის ხუხულაზე.

მილერანს მიჰყვა ლოიდ ჯორჯი, რომელიც მძიმედ ვარდება სავარძლიდან, თითქოს გულის გახეთქის გამო.

ვილსონმა ყველაზე მეტს გაძლო—ეს გასაგებიაც. რევოლუციის ბუდე—საბჭოთა რუსეთიდან გაცილებით უფრო შორსაა, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი.

საზავო მოლაპარაკება ფინლიანდიასთან.

მოსკოვი. 2 სექტ. ფინლიანდიასთან საზავო მოლაპარაკება გრძელდება. ხდება ეკონომიური და ტერიტორიალური კომისიების სხდომები. ეკონომიურ კომისიამ სრულ თანხმობას მიაღწია, რომლის თანახმათ, ფინლიანდიაში არსებული რუსეთის ქონება აუნაზღაურებლათ გადადის ფინლიანდიის საკუთრებათ. ორივე მხარის ვალები დაფარულათ ითვლება. არც ერთი სახელმწიფო პასუხს არ აგებს სახელმწიფო ვალებისა და მეორე სახელმწიფოს სამხედრო ხარჯებისათვის. ტერიტორიალური კომისია იხილავს საკითხს ფინეთის ყურეს შესახებ.

ოცდა ექვსთა დასაფლავება.

ბაქო. 19 სექტემბერი. 6 სექტემბერს ბაქოში მოხდა სადღესასწაულო დასაფლავება იმ 26 კომისრებისა, რომელიც ორი წლის წინათ ინგლისელების მიერ იქნენ დახოცილნი. ისინი დასაფლავებულ იქნენ თავისუფლების მოედანზე. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. რადეკმა, ნარიმანოვმა და ზინოვიევმა.

ევროპის სოც. დელეგაცია საქართველოში

მთავრობამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ცნობა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ, დაადგინა: მიიღოს ზომები დელეგაციის შეხვედრის სათანადო მოსაწყობათ.

— —

თფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს სექტემბრის 15 საღამოს სადღესასწაულო სხდომა ევროპის დელეგაციის პატივსაცემად. სხდომაზე მოიწვევენ დელეგაციის, მთავრობის, დამ. კრების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. განზრახულია ამ დღისათვის მთელი ქალაქის სადღესასწაულოდ მორთვა.

— —

თფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მერვე ყრილობამ დ. ონიაშვილის წინადადების თანახმად დაავალა ერობის გამგეობას, რათა მან თავის მხრით ზომები მიიღოს ევროპის დელეგაციის შეხვედრის მოსაწყობათ.

— —

ბათომის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ ევროპის სოციალისტთა დელეგაციის შეხვედრის მომწყობ კომისიაში აირჩია დ. ნაკაიძე.

— —

ბათომის ნავთსადგურში, როგორც მოხსენებული გვქონდა, დელეგაციას ოფიციალურად მიეგებება: საქართველოს ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი ს. ჯიბლაძე, მთავრობის, ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენელი და ბათომის ქალაქის თავი. დელეგაციას მისასალმებელი სიტყვებით მიმართავენ. ნავთსადგურზე გამწკრივებული იქნება ბათომის სახალხო გვარდიის საპატიო ყარაული ცხენოსანთა დივიზიისა მუსიკით. სექტემბრის 14 დელეგაცია დარჩება ბათომში. დათვალიერებს ქალაქს და დაესწრება მუშების კრებასა და მიტინგს. შეხვედრის უფრო დაწვრილებით პროგრამას გამოიმუშავებს ბათომის კომისია ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობით. სექტემბრის 14 საღამოს ბათომის ქალაქის საბჭოს სადღესასწაულო შეხვედრა მოხდება. ამავე დღეს საღამოს 10 საათზე დელეგაცია გამოვა ბათომიდან და თფილისს სექტემბრის 15 დილის 10 საათზე ჩამოვა.

— —

თფილისის სადგურზე დელეგაციას შეხვდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულების წარმომადგენლები მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მეთაურობით. ნ. ჟორდანია დელეგაციას მისასალმებელ სიტყვით მიმართავს. ბაქანზე გამწკრივებული იქნება ჯარისა და გვარდიის საპატიო ყარაული მუსიკით.

— —

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომის დადგენილების თანახმად ევროპიდან მომავალი სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის გამო, ამა სექტემბრის 15-ს მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომა.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია, რათა დეპუტატები ჩამოვიდნენ თფილისს ამა სექტემბრის 14-სათვის.

სადგურიდან დელეგაცია დამფუძნებელ კრების სადღესასწაულო სხდომაზე დასასწრებლად გამოემგზავრება. გზაზე, რომელზეც დელეგაცია გაივლის, გამწკრივებული იქნება სახალხო გვარდია, ჯარები, პროფ. კავშირები და დამფუძნებელ კრების სხდომის გათავების შემდეგ დამ. კრების წინ მოედანზე გაივლიან რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები და პროფესიონალური კავშირები. შემდეგ დელეგაცია გაემგზავრება მათთვის დამზადებულ ბინაზე. საღამოს 5 საათზე დელეგაციის წევრები დაესწრებიან მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომას. სხდომა ნაძალადევში პლეხანოვის სახელობის სახლში შესდგება. სხდომის შემდეგ რევოლიუციის მოედანზე გაიმართება მიტინგი. ორატორთა სიტყვები გადაითარგმნება. შემდეგ დღეების პროგრამას იმუშავებს ცენტრალური კომიტეტი. იგი დამატებით გამოქვეყნდება.

— —

მასალების შემკრებმა კომისიამ, დაამზადა სახელმწიფო მეურნეობის, პროფესიონალურ მოძრაობის, მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციების, რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების და სხვათა შესახებ. მასალები უკვე მზადაა და ფრანგულ ენაზე ითარგმნება.

— —

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. სექტ. 9 მთავრობის თავმჯდომარე ინახულა ევროპის სოც. დელეგაციის შეხვედრის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარე თევზაიამ და გაეცნო მას შეხვედრის გეგმა.

მთავრობაში

უკანასკნელ სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

დაევალოს სამხედრო სამინისტროსთან არსებულ სამეურნეო სექციას გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი სატრანსპორტო საზოგადოების სახელოსნოებში, რომელსაც ევალება მუშაობისთვის თვალყურის დევნება.

— აუკრძალოს სატრანსპორტო საზოგადოებას კერძო პირებზე ცემენტის გაყიდვა და ეს ცემენტი გადაეცეს მომარაგების სამინისტროს საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

— გზათა უწყების სამინისტროს დაევალოს წარმოუდგინოს მთავრობას ვრცელი მოხსენება სატრანსპორტო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ.

— დაევალოს გზათა უწყების დეპარტამენტს გამართოს აზერბეიჯანის მთავრობასთან მოლაპარაკება აზერბეიჯანის რკინის გზებზე საქართველოს ქვეშევრდომ მოსამსახურეთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

— გერმანული სამხედრო საავადმყოფოს მიერ ივნისსა და ივლისში გაწეულ ხარჯების დასაფარავად გადადებულ იქმნეს სამხედრო ფონდიდან 240.000 მან.

— დაევალოს სამხედრო საბჭოს განიხილოს საკითხი თფილისის მუდმივი საკომენდატოს დაარსების შესახებ და ამ საკითხის შესახებ მოხსენება წარუდგინოს მთავრობას განსახილველად.

— მიმართოს თფილისის ქალაქის თვითმართველობას თხოვნით, რათა თავისუფალი ბინების განაწილების დროს პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნას ის პასუხისმგებელნი მოხელენი, რომელთა სიაც ყოველ თვითეულ შემთხვევაში მთავრობის საქმეთა სამმართველო წარუდგენს.

— მოწონებულ იქნას კანონ-პროექტი ავტომობილებისა, ორთქლის მანქანებისა და მოტორების ყიდვა-გაყიდვის წერილობითი ფორმით წარმოების შესახებ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

დამფუძნებელი კრების სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა დანიშნულია 14 ენკენისთვეს შუადღის 12 საათზე სასახლეში. დასწრება აუცილებელია.

◆ **თფილისი.** სექტემბრის 9. ჩამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე. რკინის გზის სადგურზე მას შეეგებნენ მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მთავრობის თავმჯდომარის პირადი მდივანი გ. ცინცაძე, გზათა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი ინჟინერი კანდელაკი, საპატიო ყარაული და გარეშე საზოგადოება. (დ. ს.)

◆ **არტაანი.** 7 ენკ. დღეს ჩვენს ქალაქს ეწვია დეპუტატი აკაკი ჩხენკელი და გენ. ზაქარიაძე. აკაკი ჩხენკელს, რომელსაც კარგათ იცნობდენ, როგორც თავის წარმომადგენელს სახელმწიფო დუმაში, ხალხი დიდის აღტაცებით, პურმარილით შეეგება. ამგვარივე აღტაცებით ეგებებოდენ დეპუტატს გზებშიაც. დღეს აკაკი ჩხენკელი არდანუჩისაკენ მიემგზავრება.

◆ **მთავრობის სხდომა. ეკონომიური პოლიტიკა.** სექტემბრის 2-ს მთავრობამ მოისმინა მოხსენება რესპუბლიკის ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ და დაადგინა: 1) პრინციპიალურად სასურველად იქმნას მიჩნეული მთლიანი ეკონომიური პოლიტიკის გატარება. 2) დაევალოს მომარაგების სამინისტროს ეკონომიურ ნიადაგზე მომუშავე ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შეადგინოს თათბირი სახელმძღვანელო პროგრამის გამოსამუშავებლად. 3) დაევალოს ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს შეიმუშაონ გეგმა ერთიანი ეკონომიური პოლიტიკის განსახორციელებლად და განსახილველად წარმოუდგინოს მთავრობას.

◆ **საბურთალოზედ მიწების დამამუშავებელი** კომისია აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, ვისაც სამოსახლოთ ადგილები აქვთ შეძენილი მაკაროვებისაგან და უსარგებლოთ აქვთ მიტოვებული, მობრძანდენ საბუთებით კვირას, 12 ენკენისთვეს საბურთალოს სამკითხველოს დარბაზის წინ საღამოს 4 საათზედ.

მუშათა მაგიდა ბათომში სექტემბრის 9 ბათომში მუშათა მაგიდამ მოქმედება დაიწყო. მუშათა მაგიდის მოვალეობას მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის პირველად ყოველისა პურის, შაქრის, ჩაის და სხ. სურსათ-სანოვაგის მიწოდება შეადგენს. სექტემბრის 8-დან მუშათა მაგიდის სამი იაფ ფასიანი სასადილო გაიხსნა. ორკერძიანი სადილი 56 მან. ღირს. შრომის სამინისტროს განზრახული აქვს კიდევ რამოდენიმე იაფ-ფასიანი სასადილოების გახსნა. გარდა ამისა, შრომის სამინისტრომ ბათომის მუშების და მოსამსახურეების საჭიროებისათვის 700 კუბ. საჟ. შეშა შეისყიდა.

◆ **ბრინჯის და მარილის მიწოდება.** შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა მუშათა მაგიდას დაუყონებლივ შეუდგეს მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის ბრინჯის და მარილის დარიგებას. ბრინჯი ყოველ სულზე ერთი გირვანქა მიეცემა. მარილი ორ-ორი გირვანქა. გირვანქა ბრინჯი მიეცემათ 35 მან. მარილი 10 მან. გარდა ამისა, მუშათა მაგიდა სექტემბრის 20-დან შაქრის დარიგებასაც შეუდგება. სულზე ერთი გირვანქა შაქარი დარიგდება. გირვანქა ფხვნილი შაქარი ეღირება 50 მან. რაფინადი კი 100 მან. ჩაი, გირვანქა 150 მ. ასანთი ყოველ ოჯახზე 10 კოლოფი დარიგდება.

◆ **თფილისის მუნიციპალურ მუშამოსამსახურეთა** კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს შაბათს, 11 სექტემბერს საღ. 5 საათზე ქალაქის თვითმართველობის საბჭოს დარბაზში კავშირის დელეგატთა ყრილობას. ვინაიდან გასარჩევია ფრიად საყურადღებო და საჭირბოროტო კითხვები, დელეგატთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **ფასი სურსათ-სანოვაგეზე.** თანახმად შრომის სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილების ცნობისა, ბათომის ფასები თანდათან უახლოვდება თფილისში არსებულ ფასებს. გირვანქა საუკეთესო ხარისხის პური კერძო ვაჭრობაში ღირს 100 მან. მეორე ხარისხის 60 მან. კარტოფილი 12 მან. და სხვა.

◆ **ერასტი ამბაკოს ძე ასათიანი.** 7 სექტემბერს გარდაიცვალა სახალხო გვარდიის ფერშალი ერ. ასათიანი. დაკრძალვა მოხდება 10 სექტემბერს, დილის 9 საათზე.

◆ **სათბობი მასალა.** გზათა უწყების დეპარტამენტმა დაამუშავა მოხსენება რკინის გზის საჭიროებისათვის სათბობის შეძენის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სათბობი მასალის კრიზისი მწვავედ სდგას ევროპაში და ნამეტურ დაზარალებულ სახელმწიფოებში. სახელმწიფოს მრეწველობის გაძლიერება და საერთო მდგომარეობის განმტკიცება ბევრი მხრით დამოკიდებულია სათბობი მასალის საკითხზე. საქართველო, რომლის მრეწველობაც და რკინის გზები ბაქოს ნავთით იკვებებოდა, მდიდარია ქვანახშირის მადნებითაც. თუ თანდათანობით განვითარდა ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება საქართველოს რესპუბლიკის სათბობ მასალის მოთხოვნილებას მარტო ის დააკმაყოფილებს. პირველ რიგში უნდა დადგეს საკითხი ხსენებულ მაღაროებში ინტენსიურ მუშაობის მოწყობის შესახებ. ტყვიბულის ქვანახშირი სითბოს მხრივ უცხოეთის ქვანახშირს არ ჩამორჩება. ამ ქვანახშირს ის ნაკლი აქვს, რომ ის ზედმეტ ნაცარს შეიცავს, რომელიც ქვაბებს ძლიერ აზიანებს. ამგვარად ტყვიბულის ქვანახშირი დაუმუშავებლად ორთქმავლებისათვის გამოუსადეგარია. ქვანახშირის დაწმენდა უნდა იკისროს რკინის გზის სახელოსნოებმა. თუ ცდა ნაყოფიერი იქმნა, მაშინ ასეთი მუშაობა დიდი მასშტაბით უნდა გაჩაღდეს. ქვანახშირის ნაცარიც უნდა გამოყენებულ იქმნას, ვინაიდან მას ნავთის ძალა აქვს. დეპარტამენტი თხოულობს ამ მიზნით განსაკუთრებულ თანხის გადადებას იმ პირობით, რომ ასეთი მუშაობა ექვს თვეში დასრულდება.

◆ **სახალხო გვარდია.** სახალხო გვარდიის შტაბთან არსებულმა კულტურულ განმანათლებელმა განყოფილებამ დაადგინა გამართოს სეირნობანი და საღამოები დასავლეთ საქართველოში. განყოფილების წარმომადგენლები ამ მიზ-

ნით მიემგზავრებიან დასავლეთ საქართველოს შემდეგ ქალაქებში: ხაშურს სექტემბრის 16, ქიათურას—18, ქუთაისს—19, ხონს—20, სამტრედიას—21, სენაკს 22, ფოთს—23, ოზურგეთს—25 და ბათუმს—26.

სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭომ დაადგინა: ბენზინის სიმცირის გამო აიკრძალოს: 1) სამხედრო უწყების მსუბუქ ავტომობილთა მიმოსვლა თუ სამხედრო მინისტრისაგან ამის შესახებ საგანგებო ნებართვა არ იქნა; 2) საბარგო ავტომობილებს იმ შემთხვევაში მიეცეთ მიმოსვლის ნება, თუ ბარგის გადატანა სხვა საშუალებით შეუძლებელია; 3) მიღებულ იქნას ენერგიული ზომები ბენზინის საშოვნელად; 4) გადასინჯულ იქნას დაწესებულებათა და იმ პირთა შტატი, რომლებიც სარგებლობენ ავტომობილებით სარგებლობის უფლება ვისაც არ აქვს, მას აეკრძალოს ავტომობილით სარგებლობა; 5) სრულიად შესწყდეს არა-სამხედრო დაწესებულებათათვის ბენზინის მიცემა.

რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო კომიტეტი. მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო კომიტეტის საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად სესხის მიცემისა და ამავე კომიტეტისათვის მონოპოლიურ უფლების მინიჭების შესახებ საზღვარ გარეთ საქონლის გატანის საქმეში, დაადგინა: დაევალოს სახელმწიფო კონტროლს, ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს ამ საკითხის დეტალურად განხილვა. ამასთანავე მომარაგების სამინისტროს, სესხის შესახებ შუამდგომლობის აღძვრამდე, რკინის გზის სასურსათო კომიტეტისთვის დახმარების გაწევა დაევალა.

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობას მოუვიდა ცნობა სოციალური დახმარების განყოფილებიდან, საიდანაც სჩანს, რომ ძველი წესი ყოველი თვის 10-ში დახმარების მიცემის შესახებ გაუქმებულია; მომავალში დახმარება მიეცემათ თვეში ერთხელ—დრო ცალკე გამოცხადდება ყოველთვის; ამისთვის კავშირის იმ წევრებს, რომლებიც ღებულობენ აღნიშნულ დახმარებას, გამგეობა სთხოვს ნუ გაცდებიან უბრალო სიარულით განყოფილებაში და ცნობებისათვის მიმართონ კავშირს და თვალი ადევნონ გაზეთების ცნობებს. ამასთანავე დარიგდება წიგნაკები კომისიონერებისათვის, მოკლე ხანში და ისინი მიიღებენ დახმარებას ქალაქის თვითმართველობიდან.

ვინტოვკების გადაცვლა. სამხედრო საბჭომ დაადგინა: ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მან წინადადება მისცეს ქალაქის თვითმართველობებსა და ერობებს მილიციონერთა სამ ხაზიანი ვინტოვკების სხვა სისტემის ვინტოვკებზე გადაცვლის შესახებ.

შეშის დამზადება. გადაწყვეტილია დაევალოს ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც შეშას ამზადებენ, მიაწოდონ მათ მიერ შეშის დამზადების შესახებ ცნობები მომარაგების სამინისტროს.

კომისრის დაპატიმრება. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით შეპყრობილ იქნა და ახალციხის სატუსაღოში მოთავსებული ართვინის ოლქის კომისარი პოლ. ფრ. წულუკიძე, რომელმაც აბასთუმანში ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში სცემა ფოსტის მოხელეს.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ მეთაურში სწერია: ევროპის იმპერიალისტების დამხობა შეუძლია ევროპის მუშებს და რუსეთის წითელ ჯარს, უნდა იყოს: და **არა რუსეთის** წითელ ჯარს.

სწერია: მაშასადამე, აქაც ამ საკითხშიაც. . უნდა იყოს: მაშასადამე **ომი** აქაც.

სწერია: „კრას. ვოინი“ მისით მოითხოვს. უნდა იყოს: „კრასნი ვოინი“ **პირით** მოითხოვს.

სწერია: შეიძლება ამ მშვიდობიანობისადმი იმსხვერპლოს კომუნისტური პარტიის... უნდა იყოს: შეიძლება მშვიდობიანობისადმი **მისწრაფებამ** იმსხვერპლოს.

სწერია: მაგრამ რუსეთის დემოკრატიობით, უნდა იყოს: მაგრამ რუსეთის **დემოკრატია ამით.**

ფელეტონში სწერია: ჟენევის კონგრესის საზავო დახასიათება. უნდა იყოს: **საზოგადო** დახასიათება...

კრებები.

პარასკევს, 10 სექტ. საღ. სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. თფილისში მყოფ ამხ. ხმოსნებს სთხოვენ დაესწრონ ამ სხდომას, ვინაიდან ფრიად სერიოზული კითხვებია გასარჩევი.

პროვინციის ქრონიკა.

დუშეთის სამაზრო კომიტეტი ს. ს. დ. მ. პ. ახლო მომავალში იწვევს არაჩვეულებრივ ყრილობას მაზრის ს. დ. ორგანიზაციებისა. დრო მოწვევისა, დღის წესრიგი და არჩევნების წესი ორგანიზაციებს წერილობით ეცნობებათ.

— შაბათს, 11 სექტემბერს, 5 საათზე ქ. დუშეთში დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. დუშეთის სამაზრო კომიტეტის კრება. დასწრება წევრთათვის სავალდებულოა. პრეზიდიუმი.

ბათომი

(პროფესიონალურ კავშირებში)

8 სექტემბერს მუშათა სასახლეში აიოლოს თავმჯდომარეობით შესდგა ბათომის პროფ. კავშირთა საბჭოს საერთო კრება. აიოლომ მოხსენება გააკეთა საბჭოს დროებითი ბიუროს მუშაობის შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ მოკლე დროში ბიურომ შესძლო განეახლებინა კავშირები, რომელნიც საოკუპაციო მთავრობის წარმომადგენელთა მიერ იყო დანგრეული, მოეწყო ახალი კავშირები, მოეხდინა გამგეობის არჩევნები და სხ.

ამ ჟამად ბათომში არსებობს 27 კავშირი და განზრახულია კიდევ 8 კავშირის მოწყობა. პროფ. კავშირ. გაერთიანებულია გარდა რკინის გზის მუშებისა 5 1/2 ათასი მუშა. მომავალში მუშებმა 2 საკითხი უნდა გადასწყვიტონ: 1) ბრძოლა სიძვირესთან და 2) პროფ. მოძრაობის საფუძვლების განმტკიცება. ამ შემთხვევაში უნდა მიბაძონ საქართველოს პროლეტარიატს დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ. ბათომის პროფ. კავშირის ყოფილი საბჭო მუშათა კლასს პოლიტიკურ ბრძოლაში იწვევდა და კავშირი სრულ დაშლამდე მიიყვანა. ბათომის მუშათა კლასი ფრთხილად უნდა მოექცეს პოლიტიკურ ინტრიგებს და თავისი ტაქტიკით უნდა მიისწრაფოდეს არა დამღუპველ დანაწილებისაკენ, არამედ გაერთიანებისაკენ. რასაკვირველია, პროფ. კავშირის სეკრეტარიატი მხარს დაუჭერს მომავალშიც, რომ პოლიტიკური თვალსაზრისი პრ. მოღვაწეობის არ იქნეს მიზეზი დაპატიმრებისა, მაგრამ საბჭო უღონო იქნება, თუ კავშირის გამგეობის შეუძლებელი გახდება თავის წევრთა გამართლება, რომლებიც პროფ. კავშირის სახელით ჩვენი თავისუფლებისა და ჩვენი განადგურებისაკენ მიისწრაფიან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრებმა. სხვათა შორის, ვოლკოვმა განაცხადა: წარსულმა საბჭომ უკეთ უზრუნველყო ბათომის მუშები, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქების მუშები არიან უზრუნველყოფილნი.

ვოლკოვს უპასუხა წულაძემ, რომელმაც წინადადება შეიტანა, რომ ძველი საბჭოსა და ბათომის მუშათა კლასის წრის უთანხმოება გადატანილ იქნეს ინტერნაციონალის სასამართლოში. კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც იწონებს დროებითი ბიუროს მოქმედებას.

ამის შემდეგ, სიტყვა, როგორც გარეშე განცხადებისათვის, მიეცა შრომის მინის. ამხანაგ ა. ბახტაძეს, რომელმაც განაცხადა, ბათომის მუშათა კლასში არ იყო ერთიანობა და თფილისის პროლეტარიატი შეწუხებული იყო იმ ამბებით, რომლებიც აქ ხდებოდა, რადგან მატერიალურ უზრუნველყოფის საკითხი მუშებს ძლიერ აწუხებთ, სამეურნეო მდგომარეობა ისეთია, რომ მომატებაზე ტყუილა ვამყარებთ იმედებს. მხოლოდ მიზან-შეწონილი კლასთა ბრძოლით შეიძლება ეკონომიურათ მდგომარეობის შემსუბუქებას მივაღწიოთ.

დაბოლოს, მოხდა სეკრეტარიატის და მომრიგებელი კამერების არჩევნები. სეკრეტ. თავმჯდომარეთ აირჩიეს აიოლო.

ამავე სხდომაზე კომისარიატის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ა. წულაძემ.

ერობა და ქალაქი

თფილისის სამაზრო ერობა.

7 სექტემბერს შესდგა მე-3 და უკანასკნელი სხდომა თფ. სამაზრო ერობის წევრთა მე-8 ყრილობისა. ყრილობამ ფარული ხმის მიცემით ერობის წევრებათ სოც. დემ. მიერ წარდგენილი კანდიდატები აირჩია. სახელდობრ: დ. ონიაშვილი თავმჯდომარეთ. (ს. დ.) ე. ავალიშვილი, (ს. ფ.) ი. ხელაძე, (ს. დ.) გ. ჯუგაური (ს. დ.) და მ. იზხანოვი (ს. დ.). სარევიზიო კომისიაში აირჩიეს მ. ბერძენიშვილი. ყრილობამ ახალ გამგეობას წინადადებით მიმართა, რომ მან სთხოვოს მომარაგების სამინისტროს დაუყონებლივ მიეცეს მათ სათესი ხორბალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყანები დაუთესავი დარჩება.

ვინაიდან თფილისის მაზრის ერობის გამგეობას და ამავე მაზრის მილიციის უფროსის შორის სამსახურის ნიადაგზე ჩამოვარდა უთანხმოება, მილიციის უფროსმა გ. ლ. ახვლედიანმა შეიტანა თხოვნა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, რომელიც იქნა დაკმაყოფილებული. გ. ახვლედიანი განთავისუფლებულია თანამდებობისაგან 9 ამა სექტემბრიდან. დროებით აღნიშნული თანამდებობის ასრულებას შეუდგა მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე კ. მ. დანელია.

სატარიფო პალატაში

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის შეკითხვაზე, შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ექსტერიტორიალობით სარგებლობენ მხოლოდ ის დაწესებულებები, რომელნიც ემსახურებიან მხოლოდ უცხოეთის მისიებს. რაც შეეხება იმ წარმოებებსა და დაწესებულებებს, რომელნიც არ ემსახურებიან მხოლოდ უცხოეთის მისიებს, ასეთები ექვემდებარებიან რესპუბლიკაში არსებულ შრომის დაცვის კანონებს.

სატარიფო პალატამ განმარტა, რომ ქალაქთა კავშირის მექანიკური სახელოსნო არის კერძო დაწესებულება და მისი მუშები დაკმაყოფილებულ უნდა იქნან იმ მომატებით, რომელიც სატარიფო პალატამ მიიღო კერძო წარმოების ლითონის მწარმოებელთათვის.

სატარიფო პალატამ უყურადღებოთ დასტოვა ამქართა გამგეობის შუამდგომლობა, რომ პურის საქმეზე მომუშავე მუშებს პურის მაგიერ მისცემოდათ ერთი გირვანქა პურის ფასი ფულად, საიდანაც გამოდიოდა სატარიფო პალატა შრომის ქირის დაწესების დროს. სატარიფო პალატა გამოდიოდა აგრეთვე იქიდან, რომ პური შედის სამუშაო ხელფასში, მიუხედავათ ბაზარზე პურის ფასის შეცვლისა.

მომრიგებელ კამერაში

1 სექტემბერს ჩაჩიბაიას თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალური მომრიგებელ კამერის პლენარული სხდომა.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) ნეიტრალური თავმჯდომარისა და მისი ამხანაგის არჩევა, 2) სასამართლოს წარმოების წესდების გამომუშავებელ წესდების არჩევა, 3) სულაძის საქმე.

თავმჯდომარე აცნობს კამერის წევრებს, რომ წესდება, რომელიც მიღებული იყო საზოგადო კრების მიერ, შრომის სამინისტრომ მე-3 ე და მე-11 მუხლების შეცვლით დაამტკიცა. ამის შემდეგ სხდომა არჩევს დღის წესრიგს. ნეიტრალური თავმჯდომარისა და მისი ამხანაგის არჩევა გადაიდოს ამა წლის სექტემბრის დამლევამდე. კამერის წესდება მიღებულ იქნას სახელმძღვანელოთ თავმჯდომარისა და მისი ამხანაგის არჩევის შემდეგ.

კამერის სასამართლოს წარმოების გამოსამუშავებლათ არჩეულ იქნას კომისია ექვსი კაცისაგან შემდგარი ჩაჩიბაიას თავმჯდომარეობით. კომისიაში არჩეულ იქნენ: მუშებისაგან—ჩხარტიშვილი, მოვშენზონი და ბერეჟიანი, მწარმოებლებისაგან—კაჭკაჭევი, ვახნიანსკი და რამენდიკი.

სულაძის საქმის შესახებ დადგენილ იქნა: ამ საქმის გადასაჭრელათ ახლო მომავალში დაინიშნოს პლენარული სხდომა. ამასთან ერთად სხდომა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ კამერამ ასე დიდხანს ვერ გადასწყვიტა სულაძის საქმე.

მუშათა დელეგაციის გარშემო

საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

7 სექტემბერს ამხ. ა. ხელაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრო რუსეთში წამსვლელი მუშათა დელეგაცია. მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი მ. ახალაძე და შრომის კომისარი ელბაქიანი. პირველად კომიტეტმა მოისმინა მუშათა დელეგაციის შემდეგი მიმართვა:

„პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციამ ამა წლის 4—6 ივნისს დაადგინა გაეგზავნოს რუსეთში დელეგაცია რუსეთის პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და რუსეთის პროლეტარიატის მდგომარეობის გასაცნობად და მათთან დასაახლოვებლად.

დელეგაციის წევრების ნაწილი აირჩია კონფერენციამ, ნაწილი აღმასრულებელ კომიტეტმა. ივლისის დამლევს დელეგაცია უკვე შედგენილი იყო და ის შეუდგა წასასვლელად სამზადისს. 2 აგვისტოს აღმასრულებელ კომიტეტმა აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის გაგზავნის შესახებ და სთხოვდა ნებართვას 15 კაცისათვის. მინისტროს მიმართვას მოყვა წინადადება სიების წარდგენისა, რაც შესრულებულ იქმნა ამა წლის 25 აგვისტოს; ამასთანავე ერთად საგარეო საქმეთა მინისტრთან პირადი მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელმა დელეგაციის წასვლაზე თანხმობა განაცხადა და გვპირდებოდა, რომ დელეგატების სიების წარმოდგენის შემდეგ ყველა ფორმალური მხარეები 2—3 დღეში შესრულებული იქნებოდა. ამასთანავე ერთად, მიუხედავად 25 აგვისტოდან განუწყვეტელ გახსენებისა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისა, ისე რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა, ნებართვა ჯერ კიდევ არ არის მიღებული. ისინი ეყრდნობიან რუსეთიდან პასუხის მიუღებლობას. აუცილებლათ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 18 აგვისტოს დელეგაციამ საგარეო საქმეთა სამინისტროს საშვალებით დეპეშა გაუგზავნა რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარეს ამხ. ტომსკის, სადაც ის აუწყებდა მას რუსეთში დელეგაციის გაგზავნას და სთხოვდა დახმარებას, მაგრამ პასუხი არც ამხ. ტომსკისაგან არის მიღებული. დელეგაცია მზათ იყო გასამგზავრებლათ ჯერ კიდევ 25 აგვისტოს და ამ რიცხვიდან ნებართვის მიღების მოლოდინშია. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დელეგაციის წევრები ადგილობრივათ მოშორებული არიან თავიანთ ჩვეულებრივ სამუშაოს და რომ დელეგაცია უნდა დარჩენილიყო რუსეთში ორი თვე, მაშინ, როდესაც ერთი თვე თითქმის გავიდა, დელეგაცია სთხოვს აღმასრულებელ კომიტეტს ან მიიღოს ზომები სჩქაროთ გასამგზავრებლათ, ან გადაიდოს დელეგაციის გაგზავნა და განთავისუფლებულ იქნან დელეგატები თავიანთ მოვალეობისაგან“.

ამხ. ხელაძე აცხადებს—საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა საბახტარაშვილმა ოფიციალურად განაცხადა: პასუხი ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული და რომ ადგილობრივ წარმომადგენლობას განუცხადებია, რომ მას ჯერ არ მიუღია რუსეთიდან პასუხი და ამ 2—3 დღეში პასუხი უსათუოდ იქნებაო.

გოლდმანი აცხადებს, რომ პარასკევს დელეგაციამ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი რუსეთის წარმომადგენლისაგან ამბის გასაგებათ. ის აღუთქვამდა, რომ ორშაბათს ჩვენ პასუხი გვექნებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, პასუხი ჯერაც არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ტომსკი არის პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე მან 18 აგვისტოდან იცოდა, რომ ჩვენი დელეგაცია მიემგზავრებოდა იქ. ამის შესახებ სწერდენ მოსკოვის გაზეთებიც და ადგილობრივი კომუნისტებიც და ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივი გაზეთები რუსეთში იგზავნებიან. ასე რომ, მოსკოვმა დიდი ხანია ამაზე იცის და ამიტომ ერთი დეპეშა საკმარისი იყო, რომ პასუხი მიგვეღო. პასუხის მიუღებლობა შეიძლება ბევრ სხვა და სხვა მიზეზებით აიხსნას, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ჩასვლას ისინი არ ჩქარობენ. მთელი თვეა რაც ვიცდით, ფული იხარჯება, ზამთარი ახლოვდება და შემდეგ წასვლა ძნელი იქნება. ამიტომ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება დაჩქარებით გამოირკვეს მდგომარეობა. გადავსწყვიტოთ ერთი განსაზღვრული დრო წასასვლელათ და მანამ კი დელეგაციის წევრები დათხოვნილ იქნენ, რომ ტყუილად ფული არ იხარჯებოდეს და როცა პასუხს მივიღებდეთ, ისინიც მოვიწვიოთ.

ამხ. ჩხენკელი წინადადებას იძლევა, აღმასრულებელ კომიტეტმა მიმართოს სადაც ჯერ არს, მისცეს მას განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაში მან გადაჭრილი პასუხი უნდა მიიღოს. მანამ კი დელეგაცია დაიცდის აქ, რომ პასუხის მიღებისთანავე გაემგზავროს.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ დადგენილ იქნა: შეტანილ იქნას ოფიციალური განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროში, რათა მან ერთი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს და აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს გაემგზავრება თუ არა დელეგაცია.

მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი.

საქ. პროფ. კავშ. ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მიმართვა გაუგზავნა გარეშე საქმეთა მინისტრს მუშათა დელეგაციის რუსეთში შესვლის ნებართვის შესახებ.

„როგორც მოეხსენება საგარეო საქმეთა სამინისტროს, რუსეთში მიმავალი მუშათა დელეგაცია მზად არის გასამგზავრებლათ 25 აგვისტოდან. საჭირო იყო რუსეთში შესვლის ნებართვა, რის შესახებაც შუამდგომლობა აღძრული იყო ამავე რიცხვიდან 182 №-ით და თან წარმოდგენილი იყო დელეგაციის სია. მას შემდეგ გავიდა აგერ ორი კვირა და ნებართვის შესახებ არაფერი ისმის. დელეგატები სხედან თფილისში, მოცილებული არიან თავის საქმეებისგან და თან გვიხდება ხარჯების გაწევა უშედეგოდ. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა ყოვლად შეუძლებელია, რომ დიდხანს გაგრძელდეს. აღმასრულებელ კომიტეტს თავის 7 სექტემბრის სხდომაზე ქონდა მსჯელობა ამ საკითხზე და მისი დადგენილების თანახმად, გთხოვთ ერთი კვირის განმავლობაში ჩაგვაყენოთ გარკვეულ მდგომარეობაში, მიიღოთ ყოველივე თქვენგან დამოკიდებული ზომები, რომ დელეგაციას მიეცეს ნებართვა რუსეთში შესვლის და თუ ასეთი ნებართვის აღება არ ხერხდება, ისიც შეგვატყობინოთ, რომ საშუალება მოგვეცეს შესაფერი დასკვნა გაუკეთოთ შექმნილ მდგომარეობას. თქვენგან პასუხის მიღებამდე დელეგაციის მთელი შემადგენლობა რჩება თფილისში“.

რკინის გზაზე

სამტრედია. 2 სექტემბერს ადგილობრივ მუშათა კლუბში მოწვეული იყო სამტრედიის რაიონის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა კრება. დაესწრნენ ს. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ვ. თევზაია, საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ხელაძე, შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ელბაქიანი, რკ. გზელთა ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ბერეჟიანი და სხვები.

კრება გახსნა ამხ. ბერეჟიანმა და დაასახელა თავმჯდომარეთ ა. ხელაძე. კრება პირველათ სიცივით შეხვდა წამოყენებულ კანდიდატურას, ვინაიდან სამტრედიის ფართე საზოგადოება მას ვერ იცნობდა, მაგრამ, როდესაც ბერეჟიანმა გააცნო ხალხს მისი ვინაობა, კრებამ ერთხმათ აირჩია იგი. მდივნათ არჩეულ იქნა ამხ ა. ყენია.

ამხ. ხელაძემ მისასალმებელი სიტყვით გახსნა კრება. აღსანიშნავია, რომ მუშათა კლუბს ასეთი მრავალრიცხოვანი კრება არ ახსოვს; დარბაზი ხალხს ვერ იტევდა; ამხანაგები დერეფანში და მინდორშიაც იყვნენ გაჩერებულნი; ყველას დიდი ინტერესი ეტყობოდა.

დღის წესრიგი შემუშავებულ იქნა შემდეგი: 1) სამტრედიის რაიონულ გამგეობის გადაყენება, 2) დათხოვილ-გადაყვანილ მოსამსახურეების შესახებ და 3) გაფიცვის გამომწვევი მიზეზები.

ც. გამგ. თავმჯდომარე ბერეჟიანმა თავის მოხსენებაში შეეხო სამივე საკითხებს და განმარტა სამტრედიის რაიონის გამგეობის რეორგანიზაციის და მოსამსახურეების კ. შენგელიას, მიტრ. ჯანელიძის, ლ. ჯანელიძის და ვ. ტორონჯაძის დათხოვნის მიზეზები და საბუთები. კონტრმომხსენებლათ გამოვიდნენ ამხ. კ. შენგელია, მ. ჯანელიძე და ლ. ალანია, აშკარათ სჩანდა კრების თანაგრძნობა დათხოვილ ამხანაგებისადმი. მთელი რიგი ორატორების შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულმა მხარემ, რაიონულ გამგეობის თავმჯდომარე ი. კიკბიძემ, თავისი და მთელი გამგეობის სახელით. საკითხების გამორკვევის შემდეგ უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვეს ცენტრთა წარმომადგენლებმა, რომლებიც (უმრავლესობა მაინც) იცავდენ რაიონულ გამგეობის რეორგანიზაციას და დათხოვილების შესახებ ცენტრ. გამგეობის დადგენილებას.

ბოლოს სიტყვა აიღო თვითონ თავმჯდომარემ, რომელმაც სრულიად მიუდგომლათ აღნიშნა რაიონულ გამგეობის გადაყენების საჭიროება, რაშიაც კრება და ც. გამგეობა შეთანხმებულნი არიან. სადავოა მხოლოდ კ. შენგელიას და სხვების საკითხი, რომლებსაც რაიონული ყრილობა ერთხმად იცავს, მაგრამ ამავე დროს ც. გამგეობას აქვს დადგენილი მათი დათხოვა. ამ შემთხვევაში არის გამოსავალი: ეს საქმე უნდა მიენდოს იმ ორგანიზაციას, რომელსაც წარმოადგენს მთელი საქართველოს მუშათა კლასი. ეს არის სრულიად საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭო, რომელიც გამოიტანს ამის შესახებ უკანასკნელ მსჯავრსო. თავის სიტყვაში ა. ხელაძე შეეკითხა ც. გ. თავმჯდომარეს, აცხადებს თუ არა ცენტრალური გამგეობა თავის თანხმობას ჩემ წინადადებაზე, რომ ეს საქმე საბოლოოთ განსახილველათ გადაეცეს საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს, რაზედაც ბერეჟიანმა დადებითად უპასუხა. ასეთივე შეკითხვით მან მიმართა კრებას, მაგრამ კრებიდან პირველად, ალბათ გაუგებრობის მიზეზით, უარი გაისმა. ამხ. ხელაძეს ეწყინა ეს და კენჭიც არ უყრია თავის წინადადებისთვის, ისე დაანება თავი თავმჯდომარეობას. კრება აღადგინა ამხ. ვ. თევზაიამ და გამოირკვა, რომ ხელაძის და კრებას შორის გაუგებრობა მომხდარიყო. კრებამ მიიღო წინადადება ა. ხელაძის, მაგრამ დასძინა ამის შესახებ სამტრედიის რაიონულმა ყრილობამ თავის დადგენილება გამოიტანოს, რომლითაც კავშირთა საბჭო იხელმძღვანელებსო. ამაზე ხელაძეც დათანხმდა და კრებაც გააგრძელა თვითონ.

1 საკითხზე კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: გამოეცხადოს უნდობლობა სამტრედიის რაიონულ **გამგეობას და იქნეს გადაყენებული.** მე-2 საკითხზე მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი წინადადება: ვინაიდან ამხანაგები უსამართლოთ არიან დათხოვნილი და გადაყვანილნი, ყრილობა ადგენს: დაბრუნებულ იქნან ისინი თავიანთ ადგილებზე. დათხოვნილ ამხანაგების კითხვა საბოლოოთ გადასაწყვეტად მიენდო საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს. მესამე კითხვაზე,—ვინაიდან ც. გამგეობა და კრება ვერ შეთანხმდა, რადგანაც პირველი ამტკიცებდა გაფიცვა მოხდაო, მეორე—გაფიცვა არ მომხდარა, არამედ რამოდენიმე ხნით შეწყდა დეპოში მუშაობა დათხოვნილების საკითხის გასარკვევად და მეორე დღეს გაცდენილი დრო შევსებული იქნა, ამისთვის საკითხი ღიათ დარჩა.

კრების დახურვისას თავმჯდომარემ სიამოვნება გამოსთქვა, რომ ასე მშვენივრად და ასე დინჯათ იქნა ყველა საკითხები ამოწურული და მიესალმა რა კრებას, ურჩია მას ასე მედგრათ და ერთსულოვნათ დადგომა თავის მოწინავე ამხანაგების და საერთოდ მუშათა ინტერესების დაცვის საქმეში.

მომავალი.

გაცრუებული იმედები.

ერთხელ ამოვიკითხე „ერთობის“ ერთ ნომერში, რომ ქალაქის თვითმართველობა აპირებს ქალაქის სხვა და სხვა უბანში დუქნების გაღებას და მიაწოდებს მცხოვრებთ იაფ ფასიან მანუფაქტურა-სანოვაგეს და სხვა საგნებს. გული იმედით ამევსო. მოუთმენლად ველოდი როდის გაიხსნებოდა.

აი გაიხსნა დაპირებული დუქნები და იქ მართლაც ყიდიდენ ყველაფერს, რაც კი ადამიანს ესაჭიროებოდა.

მაგრამ რა ნაირათ იყიდებოდა, ერთხელ მე თითონ მოწამე გავხდი. ხვარაქოვის დუქანში, ერევნის მოედანზე, მოგროვილი იყვნენ ჩარჩი-ვაჭრები და ისინი ყიდულობდნენ თოფობით საქონელს. მე ვიდექი ისე და ყურადღებაც არ მომაქციეს.

შევეკითხე ნოქარს, თუ რათ ყიდიან ვაჭრებზე. მან მიპასუხა: ასეთი ბრძანება გვაქვს მოცემული და ვინც უნდა იყვეს,—ჩვენთვის სულ ერთიაო. აგრეთვე ხდება ისეთი საგნების გაყიდვა, რომელსაც აქვს ღარიბი ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა, როგორიც არის—ფეხსაცმელი, შაქარი, მარილი, ფართალი და სხვა. ესენი უნდა იყიდებოდეს ხელმოკლე ხალხზე და არა ჩარჩ ვაჭრებზე, რომლებიც ხელმეორედ ფასდამატებით ყიდიან ღარიბ ხალხზე და მათ ტყავს აძრობენ.

ამნაირი ფორმით მოქმედება არის სპეკულიაციის ხელის შეწყობა.

ნუ თუ არ შეიძლებოდა ამ კრიზისის დროს ისე მოწყობილიყო საქმე, რომ ერთ პიროვნებას, რომელსაც ფული „მეშოკით“ უდგია არ ესარგებლა ხალხის სიმდიდრით. ნუ თუ არ შეიძლებოდა, ბარათების შემოღება ან რაიმე სხვა საშუალებით, რომ ესარგებლა საწყალ ხალხს.

აიღეთ მაგალითად, ამ დღეებში დაურიგეს შაქრის ფხვნილი, რომელიც ხელში ჩაუვარდა ჩარჩებს და გირვანქას ოთხას მანეთად ყიდიან.

ყველა ამაების შემდეგ გამიცრუვდა იმედები და ვფიქრობ: ნუ თუ საშველი აღარ იქნება?

მთავარ სახელოსნოების მუშა **ილიკო ზუჯიაშვილი.**

სამნეო განყოფილების დუქანში

დიდიდან ხსენებული დუქნის გახსნისა ბევრ დაუშვებელ მოვლენას ქონდა ადგილი და დღესაც აქვს.

უმოწყალოთ მოქმედობს ვიღაცას შავი ხელი.

ხსენებულ დუქნით სარგებლობენ მხოლოდ ის მუშა მოსამსახურენი, რომელიც მსახურებენ სამინისტროში სამნეო განყოფ. და სამხედრო ტეხნიკურ სექციაში. აქ იძლევიან: პურს, შაქარს, ჩაის, საპონს, საჭმელ ზეთს და სხვას. მიდიხარ პურის მისაღებათ, . „პური არ არის, გათავდაო“, გეტყვიან. დღეს სრულიად არ მიმიღია და მე რა ვქნაო. (ეს იმ დღეებში ხდება, როცა კარგი პურია)

ასე ხდება თითქმის ყველაფერზე, გარდა შაქრისა, შაქარი კი რიგდება რიგიანათ.

გასულ კვირაში გავიგე, რომ თითქო მოსამსახურეზე 3 გირ. საპონი უნდა დაარიგონო. მივედი, მაგრამ მივიღე ჩვეულებრივი პასუხი, „გათავდაო“. ზემო ნაჩვენები საპონის ანგარიში გვაჩვენებს რომ ერთმა პირმა მიიღო 5 გირვანქა და მეორემ კი 3. ამ დუქანს ყავს განსაკუთრებული კომიტეტი, არის გამგე მაგრამ ვინ უნდა აგოს პასუხი ხსენებულ ბოროტებაზე, არავინ იცის და ეს არც არავის აინტერესებს.

ვეკითხები ბატონ გამგეს: იცის თუ არა, რომ მისდამი რწმუნებულ დუქანში ასეთი ბოროტება ხდება? და თუ იცის, მიიღო როდისმე ზომები, თუ არა. რადგანაც ყველა ჩვენ მუშა-მოსამსახურეებისათვის იწერება სანოვაგე, არავის არ აქვს უფლება ხვედრი ულუფა სხვას მისცეს, თუ არ არის დასალპობი. დასალპობი საგნების დარიგების წინ დღით დუქნის კარზე იქნეს გაკრული განცხადება. იქ ნაჩვენები იქნება დრო და სხ. მასთან სასურველია კომიტეტი მეტი ყურადღებით მოეპყრობოდეს დუქნის საქმეს, ვინაიდგან სულ ადვილი საქმეა მისი რიგიანათ მოწყობა.

ბარცხანელი.

მიწად მოქმედების სამინისტროს საყურადღებოთ

(სურამის სათემო)

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, დაიწყო მიწების დარიგება გლეხებზე.

სურამის სათემოს მიწების დამრიგებელ კომისიის გეგმით სათონდო მიწებიდან საშუალოთ თვითეულ სოფლის მუშას ოჯახზე შეხვდებოდა 3 დღისა. სინამდვილეში კი სულ სხვას ვხედავთ. ოჯახზე მოდის არა 3 დღისა, არამედ საშუალოთ 2 ნახ. დღისა; ეს მაშინ, როდესაც მემამულეებს, გარდა ნორმისა (14 დღიური), კიდევ 4 დღისა და ხუთისა ეზომებათ და ეს მოვლენა უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ მემამულენი ხშირად სხვადასხვა მახინაციების წყალობით პირველი კატეგორიის მიწას მეორე კატეგორიის მიწის სახით იზომავენ, ან და თუ ერთ მემამულეს ნორმაზე (14 დღიურზე) ნაკლები აქვს, ის ნორმას ირულებს მეორე მემამულისაგან ყიდვის სახით. შინაური პირობით, ძველი რიცხვით,— რასაკვირველია. ამის გამორკვევა ადვილია, მაგრამ ყურადღების მიმქცევი არავინაა.

სურამის თემის კომისია ქვეშხეთის საზოგადოებიდან შეუდგა მიწების დარიგებას. იყო მაგალითები, რომ სოფლის მუშებმა მიწების გაყოფის დროს კინაღამ ერთმანეთი ამოსწყვიტეს კომისიის თვალწინ. მიწის სიმცირის გამო; ეს იმ დროს, როდესაც ამავე სოფლის მცხოვრებ—მემამულეებს— კოტე ყიფიანს ნორმაზე მეტი (14 დ.) აქვს მიზომილი 6 დღისა, ლევან ციმაკურიძეს —6 დღისა, ლევან ყიფიანს—12 დღისა. პირველი ორი არამც თუ კულტურულ მეურნეობას ეწევა, არამედ ნორმას, მცირედის გამოკლებით არც კი ამუშავებენ თვითონ. ნესტორ კიკნაძეს ნორმა მეორე ხარისხათ აქვს მიზომილი, რომელშიაც არის პირველი ხარისხის მიწა, დათიკო ნემსაძემ, ნორმა რომ აღარ ეყო, სუმბათოვიდან, როგორც მისმა ყოფილმა მოურავმა, მიიზომა მიწა შინაური პირობით—რასაკვირველია ძველი რიცხვით. რაც შეეხება ლ. ყიფიანს, უნდა ითქვას, რომ ის მეურნეობას მართლა ეწევა—მხოლოდ კარებზე, სადაც თვითონ ცხოვრობს. სხვა მიწებს კი ამუშავებს ის იმავ საშვალებით, როგორითაც ადგილობრივი მცხოვრებლები. მიწების ჩამორთმევის დროს ბ. ლევანმა ირჩია სახნავი მიწები როგორც საუკეთესო ხარისხის; ეზოს ნაწილი კი ხილებით სათონდოთ გადასცა. ეს უკანასკნელი კი ამ ჟამათ მას მიაკუთვნეს. თუ ზომები არ იქნა მიღებული საქმის გამოსასწორებლათ ვისგანაც ჯერ არს, მდგომარეობა ძალიან გამწვავდება.

შ. ი. მარიამიძე.

საქართ. ფინანსიური და ეკონომ. მდგომარეობა

ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარების შესახებ ვრცელი მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია საერთო მიზეზებზე, რომლებიც მსოფლიო კატასტროფიდან გამომდინარეობსო. საქართველო ცნობილია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. საქართველო წარმოების მხრით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ აქ წარმოება განვითარდა, იგი უზრუნველყოფილი იქნება თავისი ნედლი და სათბობ მასალით. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, რუსეთის მთავრობას, თავის ბატონობის დროს, საქართველოს წარმოებისათვის საფუძველიც კი არ ჩაუყრია: რუსეთი უფრო ხელსაყრელად სთვლიდა გაეტანა აქედან ნედლი მასალა და შემდეგ გადამუშავებული შემოეტანა იგი უკან. ქართული მატყლი და სხვა ნედლი მასალა გაჰქონდათ მოსკოვში, აქ ამუშავებდნენ, და შემდეგ შემოჰქონდათ საქართველოში. ხორბლით სათესი ადგილების სივრცე თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მეურნეობას პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს მეურნეობა რომ რაციონალურ ნიადაგზე ყოფილიყო დაყენებული, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა რუსეთის ხორბალი. როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ცხოვრებაში ერთი და იგივე პოლიტიკა ტარდებოდა: სურდათ შეექმნათ ფაქტი საქართველოს რუსეთისაგან დამოკიდებულებისა. მაგრამ რუსეთი დაირღვა. შეიქმნა საქართველო ყოველ მხრივ გარშემორტყმული, რომელსაც ევროპაში არ ჰქონდა გასავალი. საქართველო თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მას არ ჰქონდა არავითარი მრეწველობა და საფუძველი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის. ხალხს განსაკუთრებული უნარი უნდა გამოეჩინა, რომ შეექმნა სახელმწიფოებრივი წყობილება და ანარქია აეცილებია თავიდან. ახლა, აღმშენებლობით მუშაობის შემდეგ, იბადება კითხვა: არის თუ არა საქართველოში ეკონომიური ნიადაგი სახელმწიფოებრივ წყობილების შესაქმნელად. საქართველოში ამ ჟამად უმთავრესად სასოფლო მეურნეობა არის გავრცელებული. საქართველოს მეურნეობა ომამდე

თანდათან იზრდებოდა. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში 1908 წელში 388,718 დესიატინა მიწა იყო დათესილი, 1912 წელში კი 592,461 დესიატინა, შემდეგ უფრო შემოსავლიანმა და ინტენსიურმა კულტურამ, თანდათან განდევნა პრიმიტიული კულტურა. ეს მოვლენა უფრო ნათლად თამბაქოს კულტურას დაეტყო. მეთამბაქოება თანდათან სამრეწველო ხასიათს იღებს. საქართველოს ეკონომიური ავლა-დიდება დიდია. მათი ექსპლოატაცია დიდ კაპიტალს და ტეხნიკურ ცოდნას მოითხოვს. ამ ჟამად რესპუბლიკის სიმდიდრეს შეადგენს ნედლი და ნახევრად ნედლი მასალა: მარგანეცი, თამბაქო, ტყე, ღვინო, არის ვალიუტა, რომელიც ჩვენს ქაღალდის ნიშნებს უზრუნველყოფს. მარგანეცის გარდა, რომელიც 5 მილიარდს ფუთს უდრის, საქართველოში დიდძალი ქვანახშირი არის. ტყვიბულის ქვანახშირის რაოდენობა—6 მილიარდს უდრის. ამის გარდა ტყვარჩელის ქვა-ნახშირი $13^1/_2$ მილიარდ ფუთს უდრის. ეს ქვა ნახშირი თავის ღირსებით არ ჩამოუვარდება ევროპის საუკეთესო ხარისხის ქვა ნახშირს. საქართველო მდიდარია აგრეთვე ტყით, რომლის სივრცე 2 მილიონს დესიატინას უდრის.

შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თავის მოხსენებაში ვრცლად ეხება ბიუჯეტის საკითხებს და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის შემოსავალი ბევრად აღემატება ხარჯთაღრიცხვაში ნავარაუდევ შემოსავალს. მართალია, ეს გადასახადი მძიმე ტვირთად აწვებოდა მცხოვრებთ, მაგრამ მისი წესიერად შემოტანა რესპუბლიკის კასებში ამტკიცებს იმას, რომ მცხოვრებნი თავის მოვალეობას შეგნებულად შეხვდნენ, რომ დრო ანარქიისა გავიდა და სამოქალაქო ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტში დგება.

ფინანსთა სამინისტრო ახასიათებს რა რესპუბლიკის ბალანსის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ სავაჭრო ბალანსის პასიურობა იწვევს ქვეყნის დიდ დავალიანებას, რომლის გადახდა მას თავის ნედლი მასალით უხდება. მაგრამ სავაჭრო ბალანსის პასიურობა საერთაშორისო მოვლენაა: 1919 წ. 9 თვის განმავლობაში შემოტანილი საქონელი გატანილს 4 ჯერ აღემატებოდა, ინგლისში კი 2 ჯერ, ევროპის სამეურნეო კრიზისი გამოიხატება აგრეთვე საქონლის უქონლობაში, რაც თავის მხრივ იწვევს სპეკულიაციას. რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსი მოეწყობა იმ შემთხვევაში, თუ მოწესრიგდება ნედლი მასალის ექსპორტი. მთავარი მიზეზი, რომელიც აძნელებს საქართველოდან ნედლი მასალის გატანას საკუთარ ტონაჟის უქონლობაა. საქართველო მეტად საჭიროებს დამზადებულ საქონელს. ამან აიძულა მთავრობა განსაკუთრებული ეკონომიური პოლიტიკა ეწარმოებია. ქაღალდის ფულის ნიშნების ემისია 1920—1921 წლის დამდეგამდე უდრის 2.500 მილიონ მან. სულზე მოდის 833 მან. ვალი. სახელმწიფოს სხვა ვალი არა აქვს. დაისვა საკითხი საზღვარ გარეთიდან მოტანილ საქონელში ანგარიშის გასწორებისა. თხოულობდნენ ვალიუტას. ვალიუტას ჩვენი ნედლი მასალა შეადგენდა. ამ ნედლ მასალაზე მთავრობამ მონოპოლია გამოაცხადა. ამრიგად ნედლი მასალის მონოპოლიამ შექმნა მტკიცე ვალიუტა და ამასთანავე ექსპორტის განსაზღვრულ გეგმას დაუმორჩილდა. ამის გამო შეიქმნა ისეთი პირობები, რომ მთავრობა იღებდა საზღვარ-გარეთიდან დამზადებულ საქონელს. მონოპოლიით კი მთავრობამ შეაჩერა ფასების სპეკულიატიური ზრდა. მონოპოლიის გატარების დროს მთავრობა საჭიროდ სთვლიდა წვრილ მწარმოებლის ინტერესების დაცვას. წვრილ მწარმოებლებს მეცხვარეებს და მეთამბაქოებს 1920—21 წლის სეზონისათვის მიეცათ სესხი. განსაზღვრულია კიდევ წვრილ მწარმოებლებისათვის 5 მილიარდი სესხის მიცემა. ასეთი მიზნებით გარიცხული იქნება სპეკულიანტი და წვრილი მწარმოებელი ბაზარს შუამავლის გარეშე დაუახლოვდება. მცხოვრებლები დარწმუნდნენ, რომ მონოპოლია სასარგებლოა და მხარსაც უჭერენ მის გატარებას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მეცხვარეთა გაერთიანება და მათ მიერ სახელმწიფოებრივ ორგანოებთან უშუამავლო კავშირის დაჭერა, გაერთიანდნენ აგრეთვე წვრილი მეთამბაქოები და პლანტატორები. მთავრობა მარგანეცის მონოპოლიას ანხორციელებს მწარმოებელთა მონაწილეობით. წმინდა მოგება მარგანეცის ექსპორტიდან, მიმდინარე წელში 1 მილიარდ მანეთს შეადგენს. სავალიუტო საქონელი მთავრობას თვითონ გააქვს. გატანილია 600,000 ფრანკად ღირებული აბრეშუმის პარკი. მიღებულია ზომები ექსპორტის საერთო მოსაწესრიგებლად და უპირველეს საჭიროების საქონლის იმპორტის გასაადვილებლად. ამასთანავე აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა. სურსათ-სანოვაგეს შემოტანის მოსაწესრიგებლად ყოველგვარი სანოვაგე, რომელიც კი შემოტანილ იქნება საბაჟო გადასახადიდან გაანთავისუფლებენ. გარდა ამისა სურსათ სანოვაგის გატანა რესპუბლიკიდან აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე იმ საქონლის გატანა, რომელიც რესპუბლიკას თვით ესაჭიროება. საქართველოს არა აქვს თავისი მრეწველობა და რადგანაც სოციალისტური მთავრობა ფიქრობს, რომ სოციალისტურ რევოლიუციის დრო კიდევ არ დამდგარა, ამიტომ იგი არ ავიწროებს ჩვენში კერძო ინიციატივას. მიღებულია ზომები ეროვნულ და უცხო კაპიტალის გამოსაყენებლად. ევროპა მეტად დაინტერესებულია საქართველოთი: ნედლი მასალის სიმრავლის, სათბობ მასალას, თეთრი ნახშირს და სხვას არ შეუძლიათ არ შემოიყვანონ საქართველოში უცხო კაპიტალი. (სდს).

პროფესიონალურ კავშირებში

„ნემსის პროლეტარიატი"-ს ფინანსიური ანგარიშები.

1) 1919 წლის 15 დეკემბრიდან 1920 წლის 20 აგვისტომდე კავშირის კასაში საპროცენტო გამოკლება შემოვიდა 69,509 მანეთი (იქვე შედის 3,500 მან., რომელიც ძველი გამგეობის ხ ზინადარმა გადმოსცა არსებულ გამგეობას).

2) შესასვლელი გადასახადი 4817 მ. 50 კაპ.

3) გაზეთი „მუშათა ცხოვრების" ფონდიდან შემოვიდა 567 მან.

4) უმუშევართა ფონდში ზ. შაიდნოვიდან შემოწირულება 624 მან.

5) კავშირს დაუბრუნეს ვალი 1168 მან. 96 კაპ, სულ შემოვიდა 76686 მან. 46 კაპ. ხსენებულ დროში კავშირის გასავალი იყო 70876 მან. 50 კაპ., 1920 წლ. 20 აგვისტოს კასაში დარჩა 5809 მან. 96 კაპ.

31 აგვისტოს შესდგა „ნემსის პროლეტარიატი"-ს გამგეობის სხდომა, რომელზედაც გარჩეულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) მდივნის მოხსენება კავშირში საქმის წარმოების მოწყობის შესახებ, 2) მკერავთა კავშირის ქონებისა და ანგარიშის მიღების შესახებ, 3) კავშირის წევრთა რეგისტრაცია. მდივნის მოხსენება გამგეობამ უცვლელათ მიიღო. მკერავთა კავშირის ქონებისა და ანგარიშის ჩასაბარებლათ არჩეულ იქნენ: ბაქრაძე, მელქაძე და ბეჟანიშვილი. დადგენილ იქნა ახლო მომავალში მოხდეს კავშირის წევრთა ახალი რეგისტრაცია. ვინაიდან პრეზიდიუმის არჩევნების დროს მკერავების მხრივ არავინ და წრებია, დადგენილ იქნა თავმჯდომარის მეორე ამხანაგათ არჩეულ იქნას ამხ. ბაქრაძე. ამავე სხდომაზე დაარსებულ იქნა კომისიები: კულტურულ - განმანათლებელი, საკონფლიქტო და სამეურნეო. ვინაიდან ხსენებულ კავშირის წევრები, როგორც საერთოდ ამ დარგის მუშები, შედარებით ძლიერ ცოტა ხელფასს იღებენ, გამგეობამ დაადგინა მიმართოს სატარიფო პალატას თხოვნით, რათა ნემსის წევრის პროლეტარებს სხვა კავშირების კვალიფიციურ მუშებთან გაუთანასწორონ სამუშაო ქირა.

—

განახლებულ ლითონზე მომუშავეთა პროფეს. კავშირში.

7 სექტემბერს შესდგა განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობის კრება ლ. მამალაძის თავმჯდომარეობით და ო. ლაცაბიძის მდივნობით. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: ცხოვრების გაძვირება უკანასკნელი ხელფასის მომატების შემდეგ. გაერთიანებული ლითონზე მომუშავეთა კავშირის მოწოდება თავისი წევრების მიმართ, საურსათო კომისიის არჩევა.

კონფლიქტი უმთავრესი საინჟენერო საწყობის მუშების შორის და მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე დიდი კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მუშათა მდგომარეობა ეკონომიურ დარგში კატასტროფიულათ უკან მიიწევს; უკანასკნელმა მომატებამ არ გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა, პირიქით გააუარესა, რადგანაც მუშას თუ 100% მოუმატეს ბაზარზე სპეკულიანტებმა და ჩარჩ-ვაჭრებმა 400% გაადიდეს ფასები, მეორე მხარე—ეს რაციონის შემცირება და პურის ღირსების გაუარესება, სულ აბეჩავებს, ისედაც მუშების გამოფიტულ ჯანმრთელობას, აგრეთვე ვეღარ შეუძენიათ, სიძვირის გამო, ვერც ფეხსაცმელი, ვერც ტანსაცმელი და ბევრი მუშა დაიარება ფეხშიშველა. დაადგინეს: ეთხოვოს მომარაგების სამინისტროს, რომ პურის რაციონის ღირსება გააუმჯობესოს, რომ ჭამა შეიძლებოდეს. მიიღოს ენერგიული ზომები სპეკულიაციის ასალაგმავად და ის მანუფაქტურა და ფეხსაცმელები, რომელიც მოეპოვება მომარაგების სამინისტროს, დაურიგონ უმეტეს ნაწილად მუშებს.

მეორე კითხვაზე დაადგინეს: მიიღონ ყველა მუშები ლითონზე მომუშავე ქარხნების და წარმოებებში საზოგადო კრების და იქ შემოერთების რეზოლიუციების გამოტანის შემდეგ.

გაერთიანებულ კავშირს კი მოეთხოვოს კუთვნილი განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის ფული და მთელი ქონება.

მესამე კითხვაზე გამოირკვა: რადგანაც პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ გასულ წელს ზოგიერთი დიდი ქარხნების მუშებმა ზამთრისათვის თავიანთი საკუთარი ძალებით მოიმარაგეს კარტოფილი, შეშა, ნახშირი, კომბოსტო და სხ. ამ წელშიაც უფრო მწვავეთა სდგას საკითხი, ამიტომ დაადგინეს გამოყონ დიდი ქარხნებიდან თითო კაცი და შეადგინონ კომისია, რომელიც შეუდგება ეხლავე საქმეს. ამისათვის მიეწეროს ყველა საქარხნო კომიტეტს, რომ საკმარისი თანხა მოაგროვონ თავიანთ წევრთა შორის და წარმომადგენელი გამოგზავნონ კავშირში ზაბათს 11 სექტემბერს საღამოს 5 საათზე საერთო გეგმის გამოსამუშავებლად.

უმთავრესი საინჟენერო საწყობის კონფლიქტის გამოსარკვევად აირჩიეს საგამომძიებლო კომისია: ო. ლაცაბიძე, ვ. შუბაშვილი და გ. ჯანაშია.

ო. მამოშვილი.

ს.-დ. პარტიაში

ტფილისი. არსენალის რაიონის ქვეკოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა შესდგა 27 მარიამობისთვის. დღის წესრიგშია: 1) მოხსენება ქვე-კოლექტივის ფინანსიურ მდგომარეობაზე, 2) მოხსენება რაიონიდან, 3) მოხსენება პარტიულ მუშაობის შესახებ. კრებას ესწრება მთელი შემადგენლობა ქვე-კოლექტივის წევრებისა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქვე-კოლექტივის მდივანი მეძმარიაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ პარტიის ძველ წევრებს არ შემოაქვთ პარტიული გადასახადი, კრებამ დაადგინა მიენდოს ამხანაგებს: შუბაშვილს, ჟღენტს, ანთაძეს, ფეოდოროვს, გოზალოვს და ვარსამაშვილს თავ-თავის ამქრებში მოაგროვონ წიგნაკები და ფული და წარუდგინონ მეძმარიაშვილს ქვე-კოლექტივის მდივანს, სარეგისტრაციო წიგნში ჩასანიშნავათ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კოპალეიშვილი.

პარტიული მუშაობის შესახებ ამხ. ლაცაბიძე აღნიშნავს, რომ არსენალის რაიონში პარტიული მუშაობა შესუსტდა.

კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან არსენალის ქვე-კოლექტივის რაიონის რამოდენიმე პარტიული ამხანაგები თავის უტაქტო და ინტრიგანული მოქმედებით არღვევს მტკიცე პარტიულ დისციპლინას და ამით ჰქმნიან ანარქიას, რაც დაუშვებელი არის, არჩეულ იქნას კომისია 3 კაციდან შემდგარი: ლაცაბიძე, შუბაშვილი და ჟღენტი, რომელთაც დაევალა შეკრიბონ მასალა ამ პირთა შესახებ და ვრცელი მოხსენება წარუდგინონ ქვე-კოლექტივის მორიგ სხდომას.

მუშათა შორის

ქალაქის № 1-ლი პურის საცხობის მუშების მდგომარეობა.

თითქმის ექვს თვეზე მეტია რაც მუშები ხელსაწყოს უქონლობის გამო ცუდს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი. არა ერთხელ და ორჯერ ჰქონიათ მუშებს საუბარი როგორც დაბალს, აგრეთვე უმაღლეს ადმინისტრაციასთან საქმის მოსაგვარებლათ, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე მიუღიათ: „დამაცადეთ, ორი სამი დღე და აუცილებლათ დაგაკმაყოფილებთო". ეს ორი სამი დღე ორსამ კვირად იქცეოდა ხოლმე ამ ბოლო დროს კი სამ თვეთ გადაიქცა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებას: მუშებს მალი-მალ უნდა გამოუცვალონ სამუშაო ხალათები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰუჟმა შეიძლება ხელი შეუწყოს ხოლერის ეპიდემიას.

გ. ხარაძე.

—

ავლაბრის მუშათა კლუბი.

30 მარიამობისთვეს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა ამხ. იოსებ ხუციშვილის თავმჯდომარეობით. გამგეობამ განიხილა თეატრის ბილეთების გამყიდველი ქალის ჩუთლაშვილის განცხადება, ჯამაგირის მომატების შესახებ და დაადგინა, რაკი სულ ერთი კვირის წინ მოემატა ყველა მოსამსახურეებს ჯამაგირი, ამიტომ ჩუთლაშვილს არ მოემატოს ჯამაგირი, მაგრამ მიეცეს ჩუთლაშვილის ქალს საშუალება სხვა ფორმით შემოიტანოს გამგეობაში განცხადება მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. დროებით მოწვეულ მოხუც დარაჯს გამგეობამ წინადადება მისცა დასცალოს კლუბის შენობის ოთახი, სანამ ბინას იშოვიდეს გამგეობა მატინოვს აძლევს მუშათა კლუბის ქვედა სართულში ერთ ოთახს და ერთდროულ დახმარების სახით 500 მანეთს.

მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირის სამხედრო სამუშაოზე მომუშავე ქალს ს. კეინაშვილს წინადადება ეძლევა სამხედრო სამინისტროს საკერავები გადაიტანოს ზედა სართულის სულ განაპირა ოთახში; რადგან თვალყურის დევნება არის მუდმივად საჭირო სამხედრო საკერავებზე, სანამ სხვა ბინა მოიძებნებოდეს, მინამ თითონაც იცხოვროს ხსენებულ ოთახში და სასტიკად დაიცოს ქ-ნმა კეინაშვილმა წესრიგი, რომ ოთახში გარეშე პირი არავინ შევიდეს.

ვერხვი.

—

ქიათურა. 24 აგვ. შესდგა ქიათურის შავი ქვის ვაგონების მტვირთველ მუშების პროფესიონალურ კავშირის საზოგადო კრება—პირველათ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. დობორჯგინიძე რკინის გზის სამმართველოში მომხდარ თათბირის შესახებ, რომელსაც დასწრებიან რკინის გზის წარმომადგენლები, „ჩემოს", ფოთის, შორაპნის და ქიათურის მუშების წარმომადგენელნი, რომ ტეხნიკურათ ხელი შეეწყოს შავი ქვის გაზიდვას. თათბირს დაუდგენია შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე შაბათ კვირა უქმე დღეებისათვის, გარდა დეკრეტში აღნიშნულ უქმეებისა. ამაზე მუშები დათანხმებულან. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, ჩვენი ხელფასი არის ფუთზე 1 კატეგ. 120 კ. 2 კატეგ. 125 კ., 3 კატეგ. 130 კ. გარდა ამ კატეგორიებისა არის არა ნორმალური ბაქანები, რომელიც უფრო ხრამს გავს, ვიდრე საწყობს შავი ქვისას, საიდანაც ტვირთვას გართულებული და გასამკეცებული შრომა სჭირდება, საჭირო იყო ქიათურისათვის განსაკუთრებული ტარიფის დაწესება. ეს კითხვა გადაიჭრება შერეული კომისიის საშუალებით შრომის სამინისტროს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. რაც შეეხება იმ კითხვას, რომ ხან გვაქვს სამუშაო და ხან არაო, ამის გარანტიის მიცემა და მუშათა კადრის გამომუშავება გადადებულ იქნა საქმის გამორკვევამდე, რადგან მომარაგების სამინისტროსთან მოითხოვეს ექსპორტიორებმა (ვინაიდგან მომარაგების სამინისტროც ტვირთავს გემს) შეთანხმება და მოლაპარაკება.

შემდეგი მოხსენება იყო გამგეობისაგან. მოისმინა რა მოხსენება, საზოგადო კრებამ გამგეობას წინადადება მისცა დადგენილებები დაუყონებლივ ტარდებოდეს ცხოვრებაში. თანახმად მოხსენებისა დადგენილ იქნა დილით მუშები გადიოდნენ სამსახურში არა უგვიანეს $6^1/_2$ საათისა. $10^1/_2$ საათის შემდეგ იყოს დასვენება 12 საათამდე და 12 საათიდან 4 საათამდე სწარმოებდეს მუშაობა. ვაგონები იტვირთებოდეს ორ საათამდე. შემდეგ ჩამოყენებული კი არა. ეცნობოს ეს დადგენილება ადგილობრივ რკინის გზის სადგურის უფროსს, რათა ხელი შეუწყოს ვაგონების თავის დროზე ჩამოყენებას.

კ. ჩხეიძე აცხადებს, ვინაიდან გაძნელდა მუშაობა ანგარიშის მხრით და ვერ ასწრებენ, აუცილებლად საჭიროა ერთი მოანგარიშის მიღება. დადგენილ იქნა: მიღებულ იქნას ერთი მოანგარიშე კავშირის წევრათ, თანახმად ჩვენი საზოგადო წესისა. მას არ ექნება უფლება გარდა კავშირის საქმეებისა სადმე სხვაგან იმსახუროს.

ნ. ცერეკაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ „ოტპუსკები" არ გვეძლევა ჯამაგირით და სხვა, კრებამ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ პრინციპიალურათ მიიღო „ოტპუსკების" ჯამაგირის სახით მიღება. ამაზე მოხსენების გაკეთება მიანდო ამხანაგ ლ. ელბაქიძეს. 25 აგვისტოსთვის, ლექციასთან ერთად წესდების განხილვა გადაიდო. ბაქნების შემფასებელ კომისიაში არჩეულ იქნენ: კ. მოდებაძე, ირ. გამეზარდაშვილი, ა. სირაძე, კ. ჩხეიძე, და მ. დობორჯგინიძე.

ძველი დარაჯი.

პროვინცია

ლეჩხუმი. არც ერთი მხარე საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არ მოიპოვება ისე უგზო უკვლოთ დარჩენილი, როგორიც არის მდინარე ცხენისწყლის პირად ბუმბუას ხიდიდან სვანეთამდე. ამ საშინელი გზის გამო უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან შემდეგი სოფლები: 1) ცენტრი ლეჩხუმის—ცაგერი, 2) ლუხვანო, 3) გვესო, 4) ქულბაქი, 5) ჩქუმი, 6) უდაბნო, 7) ბარნალა, 8) ლარჩვალი, 9) დეხვირი, 10) ლასურიაში, 11) მახაში, 12) ალვი, 13) ოყურეში, 14) ზუბი, 15) ოფიტარა, 16) ისუნდერი, 17) მაჩურა, 18) ლაჭეპატა. ხშირი მგზავრობა უხდებათ ამ გზაზედ სვანებსაც. ზემოდ აღნიშნული სოფლების ბაზარია ქ. ხონი. ამის მეტი ბაზარი ამ სოფლებს არ უხერხდებათ. ხანდახან ქუთაისში, მაგრამ ბევრად უფრო დასამხარი ამათთვის ქ. ხონია, ხონში ბაზარზედ პარასკეობა იციან, ამისათვის ლეჩხუმელები ოთხშაბათიდან ემგზავრებიან ბაზრისაკენ, სახლში კი შაბათობით ბრუნდებიან. ამ ყოვლად უვარგისი გზის გამო სამ-ოთხი დღეს ანდომებს ქალაქის მოვლას და სარგებლობაც ცოტაა, რადგანაც დიდი ხარჯი გაუდისო ამას ზედ დაურთეთ ოთხი დღის მოცდენ ც. მიუხედავათ იმისა რომ ის ზარალობს მაინც მოდის ბაზარზედ, იმიტომ, რომ ოჯახის მოთხოვნილება არ აძლევს მოსვენებას. ასეთი უგზოობით გაჭირებულ ხალხის გულს ყველაზე უფრო აინტერესებს ამ გზის გაკეთება, შეეძლება ამ ხალხმა კულტურული რამე დაწესებულების აშენებაში ნაკლებად დაგიჭიროს მხარი, და ამ გზის გულისთვის კი ყველა მზად არის თავიანთი შრომა გასწიოს, თუ კი შეხედავენ, რომ მთავრობა შეუდგება ამ გზის შეკეთებას.

ამ გზაზე ძალიან ხშირათ ხდება ცარცვა-გლეჯა. გააკავებენ ეს ნაძირალები გზას კვირაში ერთ დღეს იმ დროს, როცა ქალაქიდან დაბრუნებული მოდის ხალხი, გასცარცვავენ ყველას. გაცარცულებს აგროვებენ ერთად და საღამოს ჯერ ისინი წავლენ და მერმე უგზო-უკვლოთ იფანტებიან გაცარცულები: ამ ზაფხულში აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ლეჩხუმს ეწვიენ დამფუძნებელი კრების წევრები—ივ. გომართელი და ს. ფირცხალავა. სხვათა შორის ხალხმა სთხოვა ამ გზაზედ პოსტების გაჩაღება, ისინიც შეპირდნენ, მაგრამ საუბედუროდ რაღაცნაირათ დაპირება ჯერ-ჯერობით დაპირებათ რჩება.

ამ გზაზედ უფრო ხშირად იცარცვება ხალხი სენაკის მაზრის ტერიტორიაზედ. ამისათვის საჭიროა სენაკის სამაზრო ერობამ დანიშნოს ერთი პოსტი ს. ღვედში, მეორე კი ლეჩხუმის სამაზრო ერობამ ლაძგვერიას ამ გზის მეთვალყურე სამაზრო ერობები უნდა იყვნენ. ისინი უნდა გამოდიოდენ ინიციატორები ამ გზის გაკეთებისა, მაგრამ არც ერთ ერობებს ამ გზის სიკეთე არ აინტერესებთ. სენაკის სამაზრო ერობა ამ მხარეს თითქმის ვერ იცნობს, ლეჩხუმის სამაზრო ერობა კი არ არის დაინტერესებული ამ გზით. საჭიროა ზემოდ აღნიშნული ერობები მოელაპარაკონ ერთმანეთს ამ გზის შესახებ და გააუმჯობესონ მისი საქმე; ამას მოითხოვს ერობების და ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების მცხოვრებთა ინტერესები.

დ. არჯევანიძე.

— —

ხ. ხალხინო. (ქუთაისის მაზრა) 7 აგვისტოს გამართა საღამო წარმოდგენით, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდვა ამ სოფლის ქვედა ხიდის გასაკეთებლად. ხიდი უნდა აეგოს მდინარე სულორზე. იყო აგრეთვე ვახშამი, აუქციონი და სხვა. ხალხი ბლომად დაესწრო და დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. გარდა ფულად შემოწირულებისა, შემოწირული იყო ბუფეტებისთვის სხვა და სხვა სანოვაგე ღირებული 7000 მან. წმინდა მოგება ამ საღამომ დატოვა 26,000 მან.

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველა მათ, ვინც ხსენებულ საღამოზე მონაწილეობა მიიღო და აგრეთვე ვინც ნივთიერად დაგვეხმარა

მონდობილობით ბენია ბაჯნიძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

იასონ ილარიონის ძე მაჩიტაძემ

დაკარგა

სამხედრო თავისუფლების მოწმობა № 139, მიღებული შორაპნის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ითვლება გაუქმებულად. (ქუპ. 826 1—1)

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 24. მიღება 3—6 ს. (2955 1—1)

ექიმი

ნ. ა. ყიფშიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 4—6 საათ. ოლღას ქუჩა № 6. ტელეფონი 14—08. (2935 5—2)

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 28 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმი

გ. გ. რამენდიკი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფო-

---

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავათმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 2913—თ.

ექიმი

ი. ა. ლომაური

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს საღამოს 7—8 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4— სექტ.)

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლი

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20.

ექიმი ლ. ა. სარალიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ოზურგეთში

ექიმი

ს. ვ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". ქ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. მ. მძინარიშვილისა

შეშხაპუნება „606" და „914".

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შ[illegible] დებები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. [illegible] რამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 5 6 ნახ. საათამდე. 2722—თ.)

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმება

ნიკოლოზ მახვილაძემ

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

პარასკევს, 10 სექტემბერს დილის 10 საათზე მე-5 ქვეითა ათასეულის უმწყობრო ჯგუფში რკინის გზის ხაზს გადაღმა, პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან, შესდგება სამხედრო სამსახურისათვის

გამოუსადეგარი ცხენების საჯარო ვაჭრობით

გაყიდვა

(2944 1—1)

ყოფილ ბეროზაშვილის გიმნაზიის მოწაფეთა

მშობლების საყურადღებოთ

10 სექტემბერს საღამოს 5 საათზე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მოწაფეთა მშობლების საზოგადო კრება. განსახილველია საკითხი ბავშვების მდგომარეობის შესახებ. ვსთხოვთ დაინტერესებულ პირთ დაესწრონ კრებას.

მშობელთა წრე. (1943 1—1)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისათვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფი- (2838—10—8)

ტფილისის ქალაქის ტრამვაი აცხადებს

საყურადღებოთ, რომ მისგან იცემა იჯარით შემდეგი სამუშაო: სამჭედლოსთან მიშენების კეთება. 2) საწყობის აშენება საცხები მასალებისათვის და 3) ბიტონის სახურავის გაკეთება კოტეზზე ზეთის საწყობის)თვის ტრამვაის პარკში. კონდიციების გაცნობა შეიძლება ტრამვაის კანცელარიაში დილის 9—3 საათ. განცხადებების მიღება გაგრძელდება 14 სექტემბრამდე. (2939 2—ა)

მიიღება ხელისმოწერა ყოველკვირეულ, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ

„სოფლის მუშა"-ზე

გაზეთი გამოვა ორშაბათობით

ხელის მოწერის პირობები: 1 თვით 20 მანეთი, ამ წლის ბოლომდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ერთობის ქუჩა № 4, გაზეთ „ერთობის" რედაქციაში, „სოფლის მუშისათვის".

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.